

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

თამთა აბრამიძე

**შავი ზღვის სრუტეების საკითხი წამყვან სახელმწიფოთა
საგარეო პოლიტიკაში XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე**

სპეციალობა: ისტორია

ანოტაცია

წარმოდგენილია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ბათუმი

2021

შავი ზღვის სრუტეების საკითხი წამყვან სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაში XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე

შესავალი

თავი I. სრუტეების საკითხი ევროპულ სახელმწიფოთა ეკონომიკურ და სამხედრო უსაფრთხოების სისტემაში

- 1.1 ბოსფორი და დარდანელი წამყვან სახელმწიფოთა გლობალურ ინტერესებში (XVIII-
XIX სს.)
- 1.2 პოლიტიკური ბრძოლის მექანიზმები I მსოფლიო ომის პერიოდში, სრუტეების
სევრის რეჟიმი
- 1.3 სრუტეების საკითხი ლოზანოს კონფერენციაზე და საერთაშორისო ურთიერთობათა
„ახალი სისტემა“

თავი II. მონტრეს კონვენცია და ძალთა ბალანსის “ახალი სისტემა”

- 2.1 პოლიტიკური დაპირისპირების სტრუქტურა მონტრეს კონფერენციაზე და მისი
მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობებში
- 2.2 გეოპოლიტიკური ვითარების ცვლა შავ ზღვაზე II მსოფლიო ომის პერიოდში
- 2.3 შავი ზღვის სრუტეების საკითხი საერთაშორისო კონფერენციებზე II მსოფლიო ომის
პერიოდში

თავი III. გეოპოლიტიკური ინტერესები და საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა II მსოფლიო ომის შემდეგ

- 3.1 ბერლინის (პოტსდამის) კონფერენცია და სრუტეების საკითხი
- 3.2 ომის შემდგომი მსოფლიოს რეგულირების მექანიზმები და მონტრეს კონვენციის
რევიზიის მცდელობა

თავი IV. შავის ზღვის სრუტეები და „ახალი გეოპოლიტიკა“

- 4.1 სრუტეების საკითხი გლობალური ცვლილებების პერიოდში (ორი საზოგადოებრივ-
პოლიტიკური სისტემის დაპირისპირება)

4.2 გეოპოლიტიკური ცვლილებები XX-XXI საუკუნის მიჯნაზე და სრუტეებზე რეჟიმთა რევიზია

დასკვნა

ბიბლიოგრაფია

შესავალი

უძველესი დროიდან სრუტეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ როგორც ცალკეული ქვეყანებისა და სახელმწიფოს ასევე ხალხთა ცხოვრებაში. შავი ზღვისპირა-ხმელთაშუა ზღვისპირა რეგიონის ეკონომიკური და კულტურული განვითარება ამის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს - მითი (ლეგენდა) არგონავტებზე, რომლებიც უძველესი საბერძნეთიდან კოლხიდისაკენ „ოქროს საწმისის“ საძიებლად გამოემართენ. (ურუმბე 1948:7)

თუმცა, სრუტეები ყოველთვის როდი გამოიყენებოდა მშვიდიბიანი მიზნებში. ჯერ კიდევ სპარსეთის შაჰმა ქსერქსემ ააგო ხიდი დარდანელზე, რომლის გავლითაც, 480 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, თავისი ჯარი საბერძნეთისაკენ მიმართა. ასევე მოიქცა ალექსანდრე მაკედონელი 334 წელს ჩვენწელთაღრიცხვამდე როცა თავისი უძლეველი ჯარით აღმოსავლეთისაკენ გაემართა. 1453 წელს შავიზღვისპირა სრუტეები თურქეთის სულთან მეჰმედ II-მ, კონსტანტინოპოლის ხელში ჩაგდების მიზნით გამოიყენა. (სვანიძე 2007:35-36)

სამხედრო მიაზნებისთვის სრუტეები გამოიყენებოდა მოგვიანებითაც, XX საუკუნის ჩათვლით.

სწორედ ეს ორი - სამშვიდობო და სამხედრო ასპექტი, დამახასიათებელია შავიზღვისპირა სრუტეებისათვის. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მშვიდობიანი მიზნებისათვის სრუტეების გამოყენების პერიოდი - გემთმომოსვლის, ვაჭრობის, სხვადასხვა ფორმის ეკონომიკური თანამშრომლობის და კულტურული ურთიერთობის სფეროების გათვალისწინებით - მათი სამხედრო მიზნებით გამოყენების პერიოდთან შედარებით, განუსაზღვრელად დიდია.

ევროპულ სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარების და საერთაშორისო ვაჭრობის, მათ შორის გასაღების ბაზრისა და ზემოქმედების სფეროების

კონკურენციის წარმოშობამ შავიზღვისპირა სრუტეების როლის კიდევ უფრო ზრდა გამოიწვია.

მე-19 საუკუნემდე, ოსმალეთის იმპერია, რომელიც იმ დროის, მნიშვნელოვანი სამხედრო ერთეულს წარმოადგენდა, სამყაროს სრუტეების გამოყენების წესებს კარნახობდა. ამიტომ ნებისმიერი ევროპული სახელმწიფო ცდილობდა მოლაპარაკებოდა პორტას სრუტეებში თავიანთი ხომალდებისათვის თავისუფალი მიმოსვლის უზრუნველყოფის შესახებ - რისთვისაც დიპლომატიას, ზოგჯერ კი სამხედრო ძალასაც იყენებდა.

მე-19 საუკუნის შუა ხანებისათვის, ოსმალეთის იმპერიის დასუსტებასთან ერთად შავიზღვისპირა სრუტეების მიმართ, ევროპის სახელმწიფოების ინტერესების მნიშვნელოვანი ზრდა დაიწყო. თუმცა, სამხედრო ძალათა თანაფარდობა და ეკონომიკური პოტენციალი, რთული ურთიერთდამოკიდებულება და მათ შორის ასებული უთანხმოებანი იმ დროისათვის არ აძლევდა არცერთ მათგანს უფლებას, მოლაპარაკებულიყვნენ სულთანს სრუტეების საკითხში. აღსანიშნავია ნიკოლოზ I-ის სიტყვები (რუსეთის ელჩისათვის გაგზავნილი მითითება, რომელიც მას ინგლისის ხელისუფლების მეთაურთათვის უნდა გადაეცა): „კონსტანტინოპოლი არასოდეს ჩაუვარდება ხელში ინგლისელებს, არც ფრანგებს, არც არც ერთ სხვა დიდ ერს... შესაძლებელია ისე მოხდეს, რომ ვითარებამ მაიძულოს კონსტანტინოპოლის დაკავება“. და იქვე დასძინა, რომ მას არავითარი სურვილი არ აქვს თავი წარმოაჩინოს, როგორც კონსტანტინოპოლის მესაკუთრემ. დროებითი მმართველობა რუსეთის იმპერატორისათვის სავსებით საკმარისი იყო - მისივე აზრით. **(ლავროვა 2001:40-41)**

ასეთ პირობებში იბადებოდა შავიზღვისპირა სრუტეების გამოყენების შესახებ საერთაშორისო კონვენციის შექმნის იდეა. პირველ კონვენციას ხელი მოეწერა ლონდონში 1841 წელს. ხელმოწერაში მონაწილეობდნენ: რუსეთი, ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრია, პრუსია და თურქეთი. კონვენციის მიხედვით უცხოურ

სამხედრო ხომალდთა მიმოსვლა სრუტეებში იკრძალებოდა, მცირე სამხედრო ხომალდების გამოკლებით, რომლებიც “მეგობრულად განწყობილი“ სახელმწიფოების საკუთრებას წარმოადგენდნენ, მათი მიმოსვლა ნებადართული იყო საკუთრივ სულთანის მიერ. (ყალიჩავა 2014:37)

მე-20 საუკუნეში ევროპულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების გამწვავების გამო, ორი ერთმანეთის საპირისპირო სამხედრო ძალის წარმოშობასთან ერთად და მათ შორის ომის დაწყების საშიშროების და ასევე შავიზღვისპირა სრუტეების გამოყენების არსებული წესების დაუცველობის შიშით, რუსეთის ხელისუფლებაში მწიფდებოდა სრუტეებზე კონტროლის დამყარების იდეა. პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობისას ინგლისის ხელისუფლებამ, სურდა რა რუსეთი დაეტოვებინა პირველი მსოფლიო ომის მონაწილეთა შორის, დაპირდა მას რომ გადასცემდა სრუტეებს გერმანიასა და თურქეთზე გამარჯვების შემთხვევაში, რაც ნოტათა გაცვლით იქნა დაფიქსირებული. როცა ლონდონი, იმავე დროს, ცდილობდა დარდანელის ძალისმიერ ხელში ჩაგდებას. თუმცა ოპერაცია რომლის ინიციატორი ინგლისის სამხედრო-საზღვაო მინისტრი უ. ჩერჩილი იყო, ჩაიშალა. ინგლისის საექსპედიციო კორპუსმა 1915 წელს თურქული რაზმების წინააღმდეგ ბრძოლაში წარუმატებლობა განიცადა. (ყალიჩავა 2014:38)

საბჭოთა ხელისუფლებამ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველივე დღეებიდან ანუღირება გაუკეთა მეფის რუსეთის ყველა არაკანონიერ ხელშეკრულებას, მათ შორის ხელშეკრულებებს სრუტეებთან მიმართებაში და დაამყარა მეგობრული ურთიერთობა თურქეთის რესპუბლიკასთან მუსტაფა ქემალის (ათათურქის) მეთაურობით. მოსკოვმა მიიღო თურქეთის ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული წინადადება, სრუტეების შავიზღვისპირა სახელმწიფოების მიერ მართვის შესახებ, ანუ სრუტეების საკითხი შავიზღვისპირა სახელმწიფოების იურისდიქციის ქვეშ რჩებოდა. თუმცა ეს ვერ განხორციელდა. რის მიზეზადაც შეიძლება, თვით შავიზღვისპირა სახელმწიფოთა შორის არსებული

უთანხმოებები და მსოფლიო არენაზე ძალთა თანაფარდობის ცვლა შეიძლება მივიჩნიოთ.

მოსკოვმა, ლოზანის მშვიდობიან კონფერენციაზე აქტიურად დაუჭირა მხარი თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს.

1923 წლის ლოზანის კონფერენციაზე ხელი მოეწერა მშვიდობიან ხელშეკრულებას ანტანტის სახელმწიფოთა და თურქეთის ხელისუფლებას შორის, შავიზღვისპირა სტრუქტურების რეჟიმის შესახებ, რომელიც 1936 წლამდე მოქმედებდა, როცა ძალაში შევიდა ახალი კონვენცია, რომელიც მონტრეს კონვენციის სახელით არის ცნობილი. სწორედ მონტრეს კონვენცია ითვლება დღეს მოქმედ კონვენციად. მე-20 საუკუნის 90-იან წლებში მიმდინარე გლობალურმა ცვლილებებმა კი, საბჭოთა კავშირის დაშლამ, მთელი რიგი პრობლემები წარმოშვა. (სვანიძე 2007 :387-389)

მსოფლიო არენაზე რუსეთის ძალის შესუსტებით, მისი რთული ეკონომიკური მდგომარეობით, შიდაპოლიტიკური არასტაბილურობით ისარგებლა თურქეთმა და აშშ-სა და ნატო-ს სახელმწიფოთა მხარდაჭერით, შეეცადა შეესუსტებინა რუსეთის გავლენა შავიზღვისპირა რეგიონზე. ამ მიზნით, თურქეთმა 1994 წელს ცალმხრივად შემოიღო ახალი რეგლამენტი სრუტეებში ხომალდთა მიმოსვლისა, რომელიც პირდაპირ ეხებოდა შავიზღვისპირა ქვეყნების ინტერესებს. ეს, განსაკუთრებითაზარალებდა რუსეთს, რომლის შიდასავაჭრო ურთიერთობათა ნახევარზე მეტი (საბჭოთა წყობილების დროს), სწორედ ამ სრუტეების გავლით ხორციელდებოდა.

თემის აქტუალობა: თანამედროვე ეტაპზე სრუტეების საკითხმა კვლავ შეიძინა აქტუალობა პირველადი მნიშვნელობის საკითხთა შორის ჩადგა, როგორც ეკონომიკური, ასევე სამხედრო უსაფრთხოების თვალსაზრისით.

არსებული მდგომარეობა ღრმა გეოპოლიტიკური გაანალიზების აუცილებლობას მოითხოვს. ასევე აუცილებელია პოლიტიკური მექანიზმების შესწავლა, რაც

ბრძოლის ახალ საშუალებებსა და მეთოდების შემუშავებას გულიხმობს, რომლებიც სახელმწიფოთა სასიცოცხლო ინტერესებს, აგრეთვე მათ გეოპოლიტიკურ და სტრატეგიულ მიზნებს მოიცავს. სწორედ აქედან იქნა წამოჭრილი, ზემოაღნიშნული საკითხის კომპლექსური კვლევის იდეა.

ბიბლიოგრაფია და კვლევის ხარისხი: საკითხის ღრმა კვლევის პირველ მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს 1997 წელს გამოცემული წიგნი „შავიზღვისპირა სრუტეები“, რომელიც მოიცავდა მე-18-20 საუკუნეების საკითხების შესწავლას მოიცავს. 1999 წელს, ასევე რუსეთში გამოიცა კოლექტიური ნაშრომი „რუსეთი და შავიზღვისპირა სრუტეები“, რომელშიც საუბარია რუსეთის, ევროპული ქვეყნებისა და თურქეთის დამოკიდებულებაზე ზემოაღნიშნული საკითხისადმი და ამ ფაქტორთა შავიზღვისპირა სრუტეების გამოყენების რეჟიმებზე. მიუხედავად რიგი ძლიერი მხარეებისა (სოლიდური დოკუმენტური ბაზა, წყაროთა ფართო სპექტრი და ა.შ) ნაშრომი, სრულფასოვნად ვერ იქნა გაანალიზებული ლოზანოსა (1922-1923) და შემდგომ მონტრეს (1936) კონვენციების ფორმირების წინაპირობა, რამაც განსაზღვრა შავიზღვისპირა სრუტეების მუშაობისა და გამოყენების რეჟიმები. თვით წიგნში ნათქვამია, რომ „ლოზანის კონვენციამ, შავიზღვისპირა სრუტეების რეჟიმის შესახებ, გამოხატულება ჰპოვა მხოლოდ რამდენიმე სტატიებში, რომლებიც აანალიზებდნენ როგორც კონვენციას, ასევე მისი რეალიზების საკითხს“. მონტრეს 1936 წლის კონვენციის შესახებ აღნიშნული მიმართულებით მართალია გამოქვეყნებულია თუმცა კიდევ უფრო მცირე დოზით.

ნაშრომის მიზანია წარმოვადგინოთ აღნიშნული საკითხის ირგვლივ კომპლექსური ანალიზი - მათ შორის, ძალთა თანაფარდობის და სახელმწიფოთა მიზნების და სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით. გამოავლინოთ, რა გზით და მეთოდებით ხორციელდებოდა შავიზღვისპირა სრუტეების რეჟიმების საკითხთა გადაწყვეტა და რომელი რეჟიმი და პირობები მიიჩნევა საუკეთესოდ მიმდებარე ქვეყნებისთვის. ასევე, ჩვენი მიზანია, შეგვესწავლა და ნაშრომში ჩაგვეერთო ახალი

დოკუმენტები და მასალები (განსაკუთრების 90-იანი წლების გახსნილი არქივებიდან).

კვლევის საგანს წარმოადგენს ევროპის წამყვან სახელმწიფოთა პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მექანიზმების შესწავლა, შავიზღვისპირა სრუტეების რეჟიმებთან დაკავშირებით. რაც ნაშრომში განხილული გვაქვს საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოთა სტრატეგიული ინტერესების ჭრილში.

კვლევის მეთოდები წინამდებარე ნაშრომში მოცემული საკითხის კვლევისას გამოყენებული იქნა ისტორიული შემეცნების და შედარებითი ანალიზის მეთოდები; კრიტიკულად იქნა გაანალიზებული საკვლევ თემასთან შეხებაში არსებული მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები, ანგარიშები და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომელთა შედარება და ანალიზი მნიშვნელოვანია მოვლენათა სიზუსტისა და ობიექტური შეფასებისათვის.

კვლევის ობიექტია მსოფლიო წამყვან სახელმწიფოთა ინტერესები შავიზღვისპირა სრუტეებში.

დისერტაციაში გამოყენებულია მასალათა ფართო სპექტრი. განსაკუთრებით მანამდე უცნობი დოკუმენტური მასალა (90-იან წლებში გახსნილი მასალები), რამაც საშუალება მოგვცა საკითხი განსხვავებული კუთხით წარმოგვეჩინა. დისერტაციაში შესწავლილია და გამოყენებულია ნოტათა მიმოწერა სტენოგრაფიული ჩანაწერები, რუსეთის, თურქეთის, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის ხელისუფალთა მითითებები და „დირექტივები“. შესწავლილი იქნა თეირანის, იალტის, პოტსდამის სახელმწიფოთა მეთაურთა კონფერენციების და მოსკოვის საგარეო საქმეთა მინისტრთა შეხვედების მასალები.

გამოყენებულია უცხოური ლიტერატურის ფართო სპექტრი. ბრიტანეთის „ფორენ ოფისის“ და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის საგარეო საქმეთა

სამინისტროს არქივიდან ამოღებული და გაციფრებული დოკუმენტები, რომლებიც ლონდონსა და ვაშინგტონში იქნა გამოქვეყნებული.

დეტალურად იქნა შესწავლილი ლოზანოსა და მონტრეს კონვენციები. კრიტიკულად იქნა შეფასებული უცხოური ან ადგილობრივი დოკუმენტები,

მსხვილ ნაშრომად, წარმოგვიდგება ბ. ე. ნოლდეს წიგნი, რომელშიც ხაზგასმულია შავიზღვისპირა სრუტეების მნიშვნელობაჟგ, არა მარტო რუსეთისათვის, არამედ თურქეთისათვისაც და მიიჩნევა, რომ ეს უფრო რუსულ-თურქულ ურთიერთობათა სფეროს ეხება, ვიდრე რუსეთის ევროპის წამყვან სახელმწიფოებთან ბრძოლას, შავიზღვისპირა სრუტეებზე თავისი კონტროლის დამყარებისა და განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირის ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებამ და ძალთა თანაფარდობის შეცვლამ მსოფლიო არენაზე, საბჭოთა ხელმძღვანელობას საშუალება მისცა ეცადა მონტრეს კონვენციის თავის სასარგებლოდ გადახედვა, რაც არგუმენტირებული იყო ბ. ა. დრანოვასა და ა. ფ. მილლერის მონოგრაფიებში. ასევე საინტერესოა მეცნიერთა ნაშრომები, რომლებიც ამ საკითხს განიხილავენ რუსეთის ბალკანეთის საკითხთან დაკავშირებულ ჭრილში.

ასევე არსებობს მრავალი ლიტერატურა, რომელიც მოგვითხრობს დიდ სახელმწიფოთა და თურქეთს შორის მრავალი ასეული წლის მანძილზე მიმდინარე ბრძოლებსა და ურთიერთობებს. მათში, პირდაპირ ან ირიბად, წამოჭრილია შავიზღვისპირა სრუტეების პოლიტიკური თუ ეკონომიკური პრობლემები.

მიუხედავად იმისა, რომ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება სულ უფრო აქტუალური ხდება და ის გლობალური უსაფრთხოებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, აღნიშნული საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებადაა შესწავლილი აკადემიური თვალსაზრისით, ხოლო სახელმწიფოების ინტერესები და პოლიტიკა ამ რეგიონის მიმართ ხშირად არაა

ცალსახა და თანმიმდევრული.

შესაბამისად წარმოდგენილი ნაშრომი ავტორის ზემოაღნიშნული საკითხის შესწავლის, პრობლემის ევოლუციის მოკრძალებული მცდელობაცაა.

ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომი შედგება შესავლის, 4 თავის, 10 პარაგრაფისა და დასკვნისაგან. თან ერთვის გამოყენებული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის სია.

შესავალში მიმოხილულია თემის აქტუალობა, კვლევის მიზნები და ამოცანები, ნაშრომის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები, მეცნიერული სიახლე.

თავი I. სრუტეების საკითხი ევროპულ სახელმწიფოთა ეკონომიკურ და სამხედრო
უსაფრთხოების სისტემაში

*1.1 ბოსფორი და დარდანელი წამყვან სახელმწიფოთა გლობალურ ინტერესებში (XVIII-
XIX სს.)*

ანტიკური ხანიდან მოყოლებული, შავ ზღვას უდიდესი სავაჭრო-ეკონომიკური და სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა მისი მოსაზღვრე თუ არამოსაზღვრე ქვეყნებისთვის. ისეთი მსოფლიო იმპერიები, როგორებიც იყვნენ რომი და ბიზანტია, დიდ ადგილს უთმობდნენ შავი ზღვისპირეთის ქვეყნებთან ვაჭრობას. მანამდე, ანტიკურ ხანაში ბერძნებს საკმაოდ გაცხოველებული ურთიერთობა ჰქონიათ შავი ზღვისპირეთში მოსახლეებთან. ამის ნათელი მაგალითია მათ მიერ დაარსებული კოლონიები, რომელთა დიდი ნაწილი შემდგომში საფუძვლად დაედო მრავალ ზღვისპირა საქალაქო ცენტრს, მათ შორის, ქართული მოდემის ხალხების მიწებზე.

შავ ზღვაში შემსვლელთ თუ შავი ზღვიდან გამსვლელთ უწყევდათ ორი სრუტის გავლა, რადგან ეს ერთადერთი საზღვაო გზაა ხმელთაშუა ზღვიდან შავ ზღვაში შესასვლელად. ეს გახლავთ დარდანელისა და ბოსფორის სრუტეები. შავსა და მარმარილოს ზღვებს ერთმანეთთან ბოსფორის სრუტე აკავშირებს, ხოლო მარმარილოსა და ეგეოსის ზღვებს - დარდანელის. იგივე სრუტეები ერთმანეთისგან აცალკევებს ევროპასა და აზიას. ეს ერთადერთი ადგილია, სადაც შეგვიძლია დავინახოთ მკაფიო მიჯნა ხმელეთის ორ სხვადასხვა ნაწილს შორის. სხვაგან აზიისა და ევროპას გამიჯვნა პირობითია. ერთი დიდი კონტინენტის ევროპად და აზიად დაყოფას სწორედ ამ სრუტეების ნაპირებზე დაედო დასაბამი.

ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებთან დაკავშირებით მოქმედი რეჟიმის შესახებ დადებული ხელშეკრულებები, 1936 წელს გაფორმებულ მონტრეს ხელშეკრულებამდე, შეგვიძლია დავყოთ შემდეგ კატეგორიებად: ოსმალური გავლენის პერიოდი (1453-1809); ორმხრივი (რუსულ-ოსმალური)

ხელშეკრულებების ხანა (1809-1841) და მრავალმხრივი ხელშეკრულებების ხანა (1841-1923 წლები).

ბოსფორსა და დარდანელს, რომელთაც დღეს თურქეთის სრუტეებს უწოდებენ, ბოლო ორი ათასწლეულის განმავლობაში ფლობდა ორი იმპერია (თავიანთ სამართალმემკვიდრეებთან ერთად) - რომი/ბიზანტია და ოსმალეთი/თურქეთი. XIII საუკუნის პირველ ნახევარში სრუტეებს აკონტროლებდნენ ევროპელი ჯვაროსნები. **(ყალიჩავა 2014:40-41)**

1453 წელს ოსმალთა იმპერიის მიერ ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ «მეორე რომმა» (ბიზანტიის სახით) არსებობა შეწყვიტა. შავი ზღვა იქცა «ოსმალეთის ტბად» და სრუტეებიც ოტომანთა იმპერიის გამგებლობაში მოექცა. ამგვარი მდგომარეობა შენარჩუნდა 1696 წლამდე, როცა რუსეთის იმპერატორმა პეტრე I-მა აიღო აზოვი, ხოლო მოგვიანებით, 1699 წელს რუსული ხომალდი «კრეპოსტი» გაემართა სტამბოლისკენ. მიუხედავად ამ წარმატებისა, ოსმალები საშუალებას არ აძლევდნენ რუსებს, შავ ზღვაში საკუთარი ფლოტი ჰქონოდათ, რაც 1700 წლის სტამბოლის ზავით დადასტურდა. უკვე XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან დაისვა სრუტეების ოსმალეთის იურისდიქციისგან გათავისუფლების საკითხი. 1774 წელს რუსეთ-ოსმალეთს შორის გაფორმებული კუჩუკ-კაინარჯის ზავით, რუსეთმა შავ ზღვაში სავაჭრო ნაოსნობის უფლება მოიპოვა.**(სვანიძე 2007:36-37)**

სავაჭრო უფლებებსა და თავისუფლებებს არ შეეძლო ჩაენაცვლებინა რუსეთისთვის მნიშვნელოვანი სამხედრო პრივილეგიების მოპოვების საკითხი შავ ზღვაში. 1798 წლისთვის რუსეთსა და ოსმალეთს საერთო მტერი გამოუჩნდათ ნაპოლეონ ბონაპარტის სახით. «ოტომანთა პორტამ» შავ ზღვაში შესვლის ნება დართო რუსულ სამხედრო ფლოტს, რადგან თავად ესაჭიროებოდა მისგან დახმარება. მოგვიანებით, 1805 წლის რუსეთ-ოსმალეთის შეთანხმებითაც, რუსეთმა მიიღო უფლება, შავ ზღვაში სამხედრო ფლოტი ჰყოლოდა. ამასობაში დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი (1806 წელი), საქმეში ჩაერთნენ ინგლისი და

საფრანგეთიც. მათ სურდათ, თამაშის საკუთარი წესები ეკარნახათ რუსეთისა და ოსმალეთისთვის. ნაპოლეონის შთამბეჭდავმა გამარჯვებამ რუსეთთან (და ავსტრიასთან) აუსტერლიცში და ზოგადად, ევროპაში ფრანგული გავლენის ზრდამ, რომელიც პრესბურგის ზავმა (1805) განამტკიცა, ოსმალეთის იმპერია აიძულა, ნაპოლეონი იმპერატორად ელიარებინა. «პორტა» 1806 წელს იძულებული გახდა უარი ეთქვა რუსული სამხედრო ხომალდების შავ ზღვაში განლაგებაზე. სამი წლის შემდეგ ინგლისმა საკუთარი ინტერესები «ოტომანთა იმპერიის ძველი კანონით» - ოსმალეთთან დადებული ხელშეკრულებით შენიღბა და ამით ყველა სახელმწიფოს აუკრძალა სამხედრო ფლოტის ყოლა შავ ზღვაში.

1833 წელს რუსეთი მოხერხებულად ჩაერია დასასრულს მიახლოებულ ოსმალეთ-ეგვიპტის ომში (1831-1833) და მოიპოვა მთელი რიგი პრივილეგიებისა შავ ზღვასა და მის სრუტეებში, რაც უნკიარ-ისკელესის რვაწლიანი ხელშეკრულებით დამტკიცდა. ოსმალეთის იმპერია ვალდებული შეიქნა, რუსეთის მოთხოვნით ჩაეკეტა შავი ზღვის სრუტეები ამა თუ იმ ქვეყნის სავაჭრო და სამხედრო ხომალდებისთვის. ცხადი გახდა, რომ შექმნილ ვითარებას ევროპა და მით უმეტეს ინგლისი ვერ შეეგუებოდა, რომელმაც საბოლოოდ 1840-1841 წლებში ლონდონის კონვენციით მოახერხა და დააკარგვინა რუსეთს 1833 წლის შეთანხმებით შავ ზღვაზე მიღებული უპირატესობანი. რუსეთის ფლოტი ზღვაში ჩაკეტილი აღმოჩნდა. იმავე ლონდონის კონვენციის მიხედვით, რუსეთსა და ოსმალეთს აეკრძალათ შავ ზღვაზე ძალთა თანაფარდობის რეგულირება მხოლოდ ორმხრივ ხელშეკრულებათა საშუალებით. ამიერიდან შავი ზღვის საკითხმა უფრო ფართო მასშტაბი შეიძინა. (ლავროვა 2001:44-45)

ოსმალეთი უფრო და უფრო ექცეოდა ევროპის სახელმწიფოთა გავლენის ქვეშ, რაც თავის მხრივ ყურადღების მიღმა არ რჩებოდა რუსეთს. სწორედ ამგვარი ვითარება გახდა ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი 1853-1856 წლების ყირიმის ომისა რუსეთსა და ოსმალეთ-ინგლის-საფრანგეთ-სარდინიის სამეფოს კოალიციას შორის, რომელიც საბოლოოდ რუსეთის მარცხითა და პარიზის ზავით

დასრულდა. ზავის პირობებით, შავი ზღვა ღიად გამოცხადდა სავაჭრო მიზნებისთვის და დაიხურა ყველა სახის სამხედრო ხომალდებისთვის. შავი ზღვის სრუტეების სტატუსი 1871 წლის ლონდონის კონვენციით შეიცვალა, როცა რუსეთმა და ოსმალეთმა მიიღეს შავ ზღვაში სამხედრო ფლოტის ყოლის უფლება. 1878 წლის ბერლინის კონგრესზე რუსეთმა შეიერთა აჭარა, ბათუმი კი თავისუფალ ქალაქ-ნავსადგურად (პორტო-ფრანკოდ) გამოცხადდა. რუსეთის ჯარები და ქართველთა სახალხო ლაშქარი ბათუმში 1878 წლის 25 აგვისტოს შევიდნენ. იმავე დღეს რუსეთის სამხედრო ფლოტის გემებმა ბათუმის ნავსადგური დაიკავეს. ამგვარად, რუსეთის სამხედრო ფლოტმა შავ ზღვაში შეღწევა მოახერხა. (ლაგროვა 2001:46-47)

1900-1904 წლებში რუსეთის საგარეო პოლიტიკური ორიენტირი შორეული აღმოსავლეთისკენ იყო მიპყრობილი, ამიტომ შავი ზღვის სრუტეების საკითხმა მცირე დროით უკანა პლანზე გადაინაცვლა. თუმცა 1902 წელს საკითხი წამოიწია, როცა აგვისტოში რუსეთმა თხოვნით მიმართა ოსმალეთს, სრუტეებში ოთხი კონტრნაღმოსნის გატარების ნება დაერთო, რომლებიც კრონშტადტიდან შავი ზღვის ფლოტს უნდა შეერთებოდნენ. რადგან რუსეთის ეს თხოვნა თავაზიანობის ფარგლებს არ სცილდებოდა და თანაც მცირეტონაჟიან გემებს ეხებოდა, სულთან აბდულ ჰამიდ II-მ საკითხი არ გაამწვავა და საგანგებო ნებართვით მისცა რუსეთს შავ ზღვაში კონტრნაღმოსნების შეყვანის უფლება. ამან ინგლისის უკმაყოფილება გამოიწვია, რომელიც ოსმალეთის იმპერიას 1871 წლის ხელშეკრულების დარღვევაში დებდა ბრალს, თუმცა როგორც საბოლოოდ გაირკვა, სწორედ ზემოაღნიშნული 1871 წლის ხელშეკრულება აძლევდა ოსმალეთის სულთანს უფლებას, საჭიროების მიხედვით, სრუტეებით სარგებლობის ნება დაერთო ამა თუ იმ ქვეყნის ფლოტისთვის. საბოლოოდ, რამდენიმე კვირიანი დიპლომატიური დავის შემდეგ, საკითხი რუსეთის სასარგებლოდ გადაწყდა. მოგვიანებით, 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომში, შორეულ აღმოსავლეთში მიმდინარე საზღვაო ბრძოლებისთვის რუსეთს შეეძლო ბალტიისა და შავი

ზღვების ფლოტების გამოყენება. ბალტიის ზღვიდან ფლოტის გაყვანა რუსეთისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა, განსხვავებით შავი ზღვის ფლოტისგან, რომელიც ოსმალეთის იმპერიის მტკიცე უარის გამო, გაეხსნა სრუტეები რუსული ხომალდებისთვის, გამოუყენებელი დარჩა.

1907 წელს რუსეთსა და ინგლისს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დასრულდა ანტანტის შექმნა საფრანგეთის, ინგლისისა და რუსეთის შემადგენლობით. ხელშეკრულებაში არაფერი თქმულა შავი ზღვის სრუტეების შესახებ. ამის შემდეგ რუსულმა დიპლომატიამ სრუტეების საკითხთან დაკავშირებით გადაწყვიტა, ავსტრია-უნგრეთთან დაემყარებინა დიპლომატიური ურთიერთობა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრ იზვოლსკიმ შეადგინა პროექტი, რის მიხედვითაც რუსეთს თანხმობა უნდა განეცხადებინა ავსტრია-უნგრეთის მიერ ბოსნია-ჰერცეგოვინის (რომელიც მხარდამჭერად და «მფარველად» მიიჩნეოდა რუსეთს) ოკუპაციაზე, რის სანაცვლოდაც ავსტრია-უნგრეთი სრუტეების საკითხში დაუჭერდა რუსეთს მხარს. 1908 წელს იზვოლსკისა და ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ალოიზ ფონ ერენტალის შეხვედრაზე (ბუხლაუში) ზემოაღნიშნული საკითხის განხილვის შემდეგ, ერენტალმა განუცხადა იზვოლსკის, რომ გარიგებაზე თანახმა იყო, თუმცა ამისთვის მხოლოდ ავსტრია-უნგრეთისა და რუსეთის «კეთილი ნება» არ კმაროდა. საქმეში უნდა ჩართულიყვნენ ლონდონის კონფერენციის მონაწილე ევროპის ქვეყნები. მიუხედავად იზვოლსკის იმედისა, რომ ბოსნია-ჰერცეგოვინის დაპყრობის შემთხვევაში ავსტრია-უნგრეთი გაითვალისწინებდა რუსეთის დაინტერესებას შავი ზღვის სრუტეებით, ასე არ მოხდა. 1908 წელს ბოსნია-ჰერცეგოვინა ავსტრია-უნგრეთმა დაიპყრო. იზვოლსკის მრავალგზის მცდელობის მიუხედავად, დაინტერესებინა საფრანგეთი და ინგლისი რუსეთის მდგომარეობით სრუტეებზე, მან სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. საბოლოოდ იზვოლსკი 1910 წელს იძულებული გახდა, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი

დაეტოვებინა, თუმცა ერთი წლით ადრე იზვოლსკიმ, ბუხლაუს შეხვედრის მსგავსი სცენარით, იტალიასთან მოლაპარაკება სცადა.

ნიკოლოზ II-სა და იტალიის მეფე ვიტორიო ემანუელს შორის შეხვედრა გაიმართა ჩრდილოეთ იტალიაში, რაკონიჯში. შეთანხმების მიხედვით, რუსეთმა თანხმობა განაცხადა, მხარი დაეჭირა იტალიელთა სურვილისთვის საკუთარი გავლენა გაეგრძელებინათ ტრიპლოტანიისა და კირენეიკის (თანამედროვე ლიბია) ტერიტორიაზე, რომელიც მაშინ ოსმალეთის შემადგენლობაში შედიოდა. თავის მხრივ, იტალია მხარდაჭერას აღუთქვამდა რუსეთს შავი ზღვის სრუტეების საკითხთან დაკავშირებით. 1911 წელს იტალია-ოსმალეთის ომის დაწყებისთანავე რუსეთმა ხელშეკრულება გააფორმა ოსმალეთთან კონსტანტინოპოლში მივლენილი ელჩის, ნიკოლაი ჩარიკოვის მეშვეობით. ამ ხელშეკრულების მიხედვით, რუსეთის მთავრობას დახმარება უნდა გაეწია თურქეთისთვის ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების მიმდებარე ზონაში არსებული ვითარების შენარჩუნებაში. თავის მხრივ, ოტომანთა მთავრობა წინააღმდეგობას არ გაუწევდა რუსეთის სამხედრო გემების სრუტეებში გასვლას (როგორც მშვიდობიანობისას, ისე ომის დროს) იმ პირობით, რომ ისინი გაივლიდნენ შეჩერების გარეშე და დაიცავდნენ კონვენციით დადგენილ სავალდებულო წესებს. პროცესში ჩაერთნენ ევროპის დიდი სახელმწიფოებიც. საბოლოო ჯამში, შავი ზღვის სრუტეებში რუსული გემების გატარების განზრახვას ოსმალურ საზოგადოებაში იმდენად უარყოფითი გამოხმაურება მოყვა და ევროპის სახელმწიფოთა უმოქმედობა რუსეთის წინაშე იმდენად შორს წავიდა, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი საზონოვმა «განტევების ვაცად» ნიკოლაი ჩარიკოვი გამოიყვანა და განაცხადა, რუსეთს არანაირი პრეტენზია არ ჰქონია შავი ზღვის სრუტეებზე და რუსეთის ელჩმა კონსტანტინოპოლში საკუთარ უფლებებს გადააჭარბაო. ჩარიკოვი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ასე დასრულდა მეფის რუსეთის დიპლომატების მეორე ცდა - მიეღწიათ სრუტეების

რეჟიმის შეცვლისთვის დიპლომატიური არხების მეშვეობით, თურქეთთან პირდაპირი მოლაპარაკების გზით.

ბალკანური ომების დასაწყისისთვის (1912) რუსეთის იმპერიამ უკვე იცოდა, რომ შავი ზღვის სრუტეების საკითხთან დაკავშირებით ევროპის სახელმწიფოებთან მოუწევდა კონფრონტაცია, ანტანტელი მოკავშირეების ჩათვლით. ამიტომ რუსეთის ძირითადი საგარეო-პოლიტიკური მიზანი იყო, არ დაეშვა მესამე სახელმწიფოს მიერ გავლენის მოპოვება ბოსფორსა და დარდანელის სრუტეებზე. თუმცა ამ გეგმის განხორციელება ადვილი არ აღმოჩნდა. დაშლის პირას მდგარ ოსმალეთის იმპერიაზე ევროპის ჰეგემონ სახელმწიფოებს ეჭირათ თვალი. 1913 წლის 25 ნოემბერს გერმანიამ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა ოსმალეთის იმპერიასთან და საკუთარი წარმომადგენელი, გენერალი ლიმან ფონ სანდერსი მიავლინა ოსმალური სამხედრო ნაწილების მეთაურად, რამაც რუსეთისა და ინგლის-საფრანგეთის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ინგლის-საფრანგეთისთვის გერმანია კონკურენტი იყო ოსმალეთის დანაწილების საქმეში, ხოლო რუსეთს საკუთარი ინტერესები ჰქონდა შავი ზღვის სრუტეებთან დაკავშირებით. ლიმან ფონ სანდერსის სამხედრო მისიის ოსმალეთში გაგზავნით გამოწვეული კრიზისის პერიოდში რუსეთმა მოახერხა გერმანიასთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნება, თუმცა ცხადი იყო, რომ დიდხანს ეს ვერ გასტანდა.

1.2 პოლიტიკური ბრძოლის მექანიზმები I მსოფლიო ომის პერიოდში, სრუტეების სევრის რეჟიმი

პირველი მსოფლიო ომის სამხედრო ისტორიაში ნიშანდობლივია გალიპოლის ოპერაცია, რომელიც დიდი ბრიტანეთის იმდროინდელი საზღვაო მინისტრის, უინსტონ ჩერჩილის ინიციატივით განხორციელდა. ოპერაციის მიზანი იყო კონსტანტინოპოლზე გავლენის მოპოვება ევროპის სახელმწიფოების მიერ,

რომელთაც არ უნდა დაეშვათ კონსტანტინოპოლის ხელში ჩაგდება რუსეთის მიერ. ამისთვის 1915 წლის 19 თებერვალს სამხედრო მოქმედებებში ჩაერთო ბრიტანულ-ფრანგული საზღვაო ფლოტი და მალევე დამარცხდა კიდეც თურქებთან. ბრიტანელებმა გადაწყვიტეს სახმელეთო დესანტის გალიპოლის ნახევარკუნძულზე გადასმა, რაც 25 აპრილს მოახდინეს და რაშიც ევროპელებს დაეხმარნენ ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის სამხედრო ნაწილები. საბოლოოდ, დიდი ბრიტანეთის მიერ არცთუ კარგად ორგანიზებული გალიპოლის ოპერაცია თურქეთის გამარჯვებით დასრულდა. მსხვერპლი დიდი იყო. თურქების მხრიდან 195 ათასი, ხოლო მოკავშირეთა მხრიდან - 141 ათასი კაცი დაჭრილებისა და დაღუპულების სახით აღირიცხა. 1916 წლის 9 იანვარს ანტითურქული ალიანსის უკანასკნელმა სამხედრო ნაწილებმა გალიპოლის ნახევარკუნძული დატოვეს. (Goldstein 1992:43)

ოსმალეთის იმპერია პირველ მსოფლიო ომში გერმანიის მოკავშირე იყო. 1915 წელს ინგლის-საფრანგეთ-რუსეთს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომელიც რუსეთს აღუთქვამდა კონსტანტინოპოლისა და შავი ზღვის სრუტეების კონტროლს. ეს შეთანხმება ინგლის-საფრანგეთის მხრიდან რუსეთის «მოხიბვლის» ერთგვარ მცდელობას წარმოადგენდა, რათა მას გერმანიასთან ომი საბოლოო გამარჯვებამდე მიეყვანა. 1917 წლის «ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის» გამარჯვების შემდეგ, რუსეთის ახალმა მთავრობამ გააუქმა იმპერიალისტური რეჟიმის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები, თუმცა თავის მხრივ მემარჯვენე მონარქისტები მაინც ცდილობდნენ სრუტეების შენარჩუნების საკითხის წინ წამოწევას. 1918 წლის 30 ოქტომბერს მუდროსში (კუნძული ლემნოსი) ხელი მოეწერა ოსმალეთის კაპიტულაციას ანტანტის ქვეყნების წინაშე. თურქეთი აძლევდა გამარჯვებულებს შავ ზღვაში შესვლისა და კონსტანტინოპოლისა და სრუტეების ოკუპაციის უფლებას. 1920 წლისთვის ანტანტის სამხედრო ნაწილებმა დაიკავეს სტამბოლი და შავი ზღვის სრუტეები, რამაც მათ საშუალება მისცა, შეიარაღებული ინტერვენცია მოეხდინათ სამხრეთ რუსეთში, სადაც სამოქალაქო ომის დროს გენერალ ანტონ დენიკინის ნაწილები იყვნენ განლაგებული. ასევე ანატოლიაში, რაშიც ანტანტის ძალებს

ბერძნები ეხმარებოდნენ. 1920 წლის 10 აგვისტოს პარიზის მახლობლად, სევრში დასრულდა პირველ მსოფლიო ომში მონაწილე ქვეყნებს შორის ხელშეკრულებათა დადება. მათ ერთი მხრიდან ხელს აწერდა თურქეთი, მეორე მხრიდან კი - დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია, სომხეთი, ბელგია, საბერძნეთი, ჰიჯაზი, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, იუგოსლავია და ჩეხოსლოვაკია. ამ ხელშეკრულებით თურქეთი კარგავდა თავისი ტერიტორიის 3/4-ს, სრუტეები უნდა გაეკონტროლებინა სპეციალურ კომისიას, რომელსაც საკუთარი დროშა ექნებოდა და ეყოლებოდა პოლიციაც, თურქეთის ერთადერთი წარმომადგენელი კი მასში მხოლოდ მას შემდეგ შევიდოდა, როცა თურქეთს ერთა ლიგაში მიიღებდნენ. **(Fromkin 1989:90)**

1921 წლის 16 მარტს რუსეთის სოციალისტურ ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასა და თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის V მუხლი ეხებოდა სრუტეებს. აღნიშნულის მიხედვით შავი ზღვის სრუტეების საკითხი განსახილველად უნდა გადასცემოდა კონფერენციას შავიზღვისპირეთის ქვეყნების შემადგენლობით. საკითხის გადაწყვეტისას დაცული უნდა ყოფილიყო თურქეთის სუვერენიტეტი. მსგავსი პირობები იყო განხილული მოგვიანებით რუსულ-თურქულ ყარსის ხელშეკრულებაში 1921 წლის 13 ოქტომბერს და ასევე 1922 წლის უკრაინულ-თურქულ ხელშეკრულებაში.

1.3 სრუტეების საკითხი ლოზანოს კონფერენციაზე და საერთაშორისო ურთიერთობათა „ახალი სისტემა“

1922-1923 წლების ლოზანის კონფერენციაზე შავი ზღვის სრუტეების საკითხი ერთ-ერთი მთავარი იყო. საბჭოთა რუსეთის მთავრობა მოითხოვდა სრუტეების დახურვას ყველა ქვეყნის სამხედრო ხომალდებისთვის, ინგლისი კი ცდილობდა, შავ ზღვაში სამხედრო ხომალდების შეყვანის უფლება ანტანტის ქვეყნებისთვის მოეპოვებინა. 1923 წლის 24 ივლისს ხელმოწერილი აქტი ინგლისის უმთავრეს დიპლომატიურ გამარჯვებად იქცა: თურქეთი დათანხმდა ბოსფორისა და

დარდანელის სრუტეების დემილიტარიზაციას და სამხედრო ფლოტებისთვის სრუტეების გახსნას.

ლოზანის საზავო ხელშეკრულება — ლოზანის კონფერენციის ერთ-ერთი ძირითადი შემაჯამებელი დოკუმენტია. ხელი მოაწერეს 1923 წლის 24 ივლისს ერთი მხრივ დიდბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის, საბერძნეთის, რუმინეთისა და სერბების, ხორვატებისა და სლოვენელების სამეფოს და მეორე მხრივ თურქეთის წარმომადგენლებმა. შეცვალა 1920 წლის სევრის ხელშეკრულება.

ხელშეკრულებამ ჩამოაყალიბა თანამედროვე თურქეთის საზღვრები. იურიდიულად გააფორმა ოსმალეთის იმპერიის დაშლა. ხელშეკრულებამ გამოაცხადა ზავი თურქეთსა და ანტანტის სახელმწიფოებს შორის. თურქეთმა შეინარჩუნა აღმოსავლეთი თრაკია, იზმირი და სხვა ტერიტორიები, რომლებიც დაკარგა სევრის ხელშეკრულების შედეგად. ამავდროულად თურქეთმა უარი თქვა არაბეთზე, ეგვიპტეზე, სუდანზე და სხვა გავლენის სფეროებზე. თრაკიაში საზღვარი მდინარე მარიცას გაჰყვა. (სვანიძე 2007:390-391)

ხელშეკრულებამ შეცვალა უცხოელების ეკონომიკური და პოლიტიკური პრივილეგიები თურქეთში და თურქეთზე არსებული საერთაშორისო ფინანსური კონტროლი. თურქეთი დათანხმდა გადაეხადა ოსმალეთის იმპერიის ვალის ნაწილი.

1923 წლის 23 აგვისტოს თურქეთმა მოახდინა ხელშეკრულების რატიფიკაცია, ხოლო ძალაში შევიდა 1924 წლის 6 აგვისტოდან, როდესაც რატიფიკაცია ყველა ხელმომწერმა სახელმწიფომ მოახდინა.

თავი II. მონტრეს კონვენცია და ძალთა ბალანსის “ახალი სისტემა”

2.1 პოლიტიკური დაპირისპირების სტრუქტურა მონტრეს კონფერენციაზე და მისი მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობებში

1936 წლის 22 ივნისს შვეიცარიის ქალაქ მონტრეში გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ისევ ეძღვნებოდა შავი ზღვის სრუტეების საკითხს, რათა

ხელახლა შეემუშავებინათ კონვენცია. 1936 წელს ხელმოწერილი იქნა შავი ზღვის სრუტეების კონვენციას, რომლითაც გაუქმებული იქნა სრუტეების საერთაშორისო კომისია. აღდგა თურქეთის სუვერენიტეტი სრუტეებზე და მის ნაპირებზე. თურქეთს უფლება მიეცა მთლიანი დემილიტარიზაციის. ასევე თურქეთს შეეძლო თვალი ედევნებინა სრუტეებში ყველა სახის გემის მიმოსვლაზე და დაემყარებინა აქ თავისი კონტროლი. სრუტეებზე თავისუფალი ნაოსნობა შეეძლო ყველა ტიპის სავაჭრო გემებს, მშვიდობიანობის, ასევე ომის დროს. რაც შეეხება, სრუტეებში სამხედრო გემების გასვლას, განსხვავებული რეჟიმი შემოიღეს შავიზღვისპირა და არა შავიზღვისპირა სახელმწიფოებისათვის. სრუტეებში გასვლისას სამხედრო გემები შემდეგ მოთხოვნებს ემორჩილებოდნენ: მშვიდობიანობის დროს არა შავიზღვისპირა ქვეყნების სამხედრო გემებისათვის მიიღეს შემდეგი დადგენილებები: სრუტეებით სარგებლობა შეეძლო მხოლოდდამხოლოდ მსუბუქ სამხედრო გემებს და დამხმარე ხომალდებს, არა უმეტეს 15 ტონაჟისა. შავ ზღვაში ერთდროულად მყოფი უცხო ქვეყნების სამხედრო ხომალდების რაოდენობა არ უნდა ყოფილიყო ცხრა. შავიზღვისპირა სახელმწიფოებს შეეძლოთ ესარგებლათ, როგორც მსუბუქი, ასევე დიდი სამხედრო ხომალდებით. ომის დროს, როდესაც თურქეთი არ მონაწილეობდა ომში, სრუტეები იქნებოდა დახურული ომში მონაწილე ყველა ქვეყნის სამხედრო გემებისათვის. რაც შეეხება სავაჭრო გემებს დაუბრკოლებლივ შეეძლოთ სრუტეებით სარგებლობა. იმ შემთხვევაში, თუ თურქეთი იღებდა მონაწილეობას ომში, მაშინ სრუტეებით სარგებლობის უფლება თურქეთის მთავრობის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. ამდაგვარ უფლებით თურქეთს შეეძლო ესარგებლა, იმ შემთხვევაშიც თუ შეიქმნებოდა სამხედრო საშიშროება. კონვენციით ასევე განისაზღვრა სრუტეების თავზე საჭაერო ხომალდების გასვლის წესი. შესაძლებელი იყო, გარკვეული პირობების დაცვით, სამხედრო და სამოქალაქო გადაფრენა შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვისკენ და პირიქით. შავი ზღვის კონვენციით საბჭოთა კავშირისა და ამ რეგიონის ინტერესები სრულიად არ იყო დაცული. მონტრეს კონვენცია დაიდო 20 წლით. 1936 წლის მონტრეს კონვენცია შავი ზღვის სრუტეების

შესახებ დღემდე მოქმედებს, რაც მას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. (ყალიჩავა 2015:49-50)

2.2 გეოპოლიტიკური ვითარების ცვლა შავ ზღვაზე II მსოფლიო ომის პერიოდში

მეორე მსოფლიო ომის დროს თურქეთის მთავრობა არღვევდა მონტრეს კონვენციას პირობებს და მან ვერ შეძლო დაეცვა შავ ზღვაზე საბჭოთა კავშირის უსაფრთხოება.

თურქეთის სრუტეების კრიზისი ესაა ცივი ომის პერიოდის ტერიტორიული კონფლიქტი სსრკ-ისა და თურქეთს შორის. თურქეთი ოფიციალურად ნეიტრალური რჩებოდა მეორე მსოფლიო ომში 1945 წლამდე. ომის დასრულების შემდეგ, სსრკ თურქეთის მთავრობას აიძულებდა დარდანელის და ბოსფორის სრუტეებში საბჭოთა გემების თავისუფალ გატარებას. როდესაც თურქეთმა სსრკ-ის მოთხოვნა უარყო, დამაბულობა რეგიონში მკვეთრად გაიზარდა რასაც სსრკ-ის საზღვაო ძალების შესაძლებლობების დემონსტრირება მოჰყვა. კრიზისი იყო ტრუმენის დოქტრინას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამიზნე. კრიზისის პიკში, თურქეთის მთავრობამ NATO-ს წევრობით სცადა აშშ-ისგან დახმარების მიღება. (Rozkes 1987:7)

ორი სრუტე (ბოსფორის და დარდანელი) ერთადერთი გასასვლელი კარიბჭეა შავ და ხმელთაშუა ზღვებს შორის, სწორედ ამიტომ დარდანელის და ბოსფორის სრუტეები უმნიშვნელოვანესი სავაჭრო დანიშნულების წერტილები იყო. სრუტეების ასევე მნიშვნელოვანი იყვნენ სამხედრო სტრატეგიის თვალსაზრისითაც, ის ვინც ამ სრუტეებს აკონტროლებს შეუძლია სრუტეების ჩაკეტვით მოწინააღმდეგის სახელმწიფოსათვის ბლოკადის მოწყობა, ისე როგორც პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის იმპერიამ „ამიშვილა“ რუსეთის იმპერია.

თურქეთის სრუტეების კრიზის ფესვები თურქეთ-სსრკ-ის ურთიერთობებში, მეორე მსოფლიო ომამდე და ომისას აქვს. 1930-იანებამდე ორ სახელმწიფოს თბილი და შეიძლება ითქვას რომ მეგობრული ურთიერთობები ჰქონდათ, 1921 წელს თურქეთის დიდი ნაციონალური ანსაზლების მთავრობამ და რუსეთის ბოლშევიკებმა ხელი მიაწერეს მოსკოვის ხელშეკრულებას, სადაც ორი მხარე ერთმანეთთან თანამშრომლობას დაჰპირდა. (Hasanli 2011:1)

სრუტეების რეჟიმის მონტრეს კონვენცია 1936 წელს ჩატარდა, ავსტრალიის, ბულგარეთის სამეფოს, საფრანგეთის, ნაცისტური გერმანიის, საბერძნეთის, იაპონიის იმპერიის, საბჭოთა კავშირის, თურქეთის, დიდი ბრიტანეთის და იუგოსლავიის სამეფოს დასწრებით, რათა გადაეწყვიტათ ბოსფორის და დარდანელის სრუტეების თურქეთისათვის გადაცემის სამხედრო და რეგულატორული გზები. (Rozakis, Stagos, 1987:101)

1930-იანების ბოლოს და 1940-იანებში, სტალინი ეწინააღმდეგებოდა 1936 წლის კონვენციის შემდეგ მიღწეულ შეთანხმებას და უკვე 1939 წელს ითხოვდა ალტერნატიულ გადაწყვეტას. სტალინმა წამოაყენა სრუტეების სსრკ-ისა და თურქეთის მიერ საერთო კონტროლი. (Larson 1989:203) მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის ხელმოწერის შემდეგ ნაცისტურ გერმანიასთან, სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიაჩასლევ მოლოტოვმა გერმანელ კოლეგებს სსრკ-ის მიერ სრუტეების ძალით აღების სურვილი გაუმხილა. (Rozakis, Stagos, 1987:44)

სსრკ-სა და თურქეთს შორის დამაბულობები გაიზარდა რადგან თურქეთი სრუტეებში გასვლის უფლებას აძლევდა იტალიის სამეფოს და ნაცისტური გერმანიის გემებს მეორე მსოფლიო ომში. ნაცისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ სსრკ საკითხს 1945 და 1946 წლებში დაუბრუნდა. 1946 წლის 6 აპრილს სრუტეებს ამერიკული საბრძოლო ხომალდი USS *მისური* ესტუმრა, რამაც კიდევ უფრო გააღვიძინა სსრკ-ს ლიდერები.

1946 წლის 7 აგვისტოს, საბჭოთა კავშირის ოფიციალურმა პირებმა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მისწერეს წერილი რომ, თურქეთის მიერ სრუტეების მართვა აღარ ემსახურებოდა შავი ზღვის სახელმწიფოების ნაციონალური თავდაცვის ინტერესებს და მაგალითად მოიყვანეს იტალიური და გერმანული საბრძოლო ხომალდები რომლებიც დარდანელის და ბოსფორის სრუტეების გავლით შავ ზღვაში თურქული წინააღმდეგობის გარეშე შევიდნენ (თურქეთმა გერმანული ხომალდები და მათი ეკიპაჟები მხოლოდ 1945 წლის 23 თებერვლის შემდეგ, თურქეთის ომში ჩაბმის შემდეგ, დააკავეს). წერილში ეწერა რომ სრუტის თურქული გამგებლობა აღარ იყო სანდო, მონტროს ხელშეკრულება გაუქმებული იყო და უნდა მოწვეულიყო ახალი საერთაშორისო კონფერენცია.

როდესაც თურქეთის სრუტეების პრობლემა პოტსდამის კონფერენციაზე წინ წამოიწია, აშშ-ის პრეზიდენტმა, ჰარი ტრუმენმა განაცხადა რომ სრუტეების საკითხი იყო საშინაო პოლიტიკური პრობლემა როგორც თურქეთისათვის, ასევე სსრკ-ისათვის და საკითხი მხოლოდ ამ ორმა სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტონ. პოტსდამის კონფერენციის შემდეგ დღეებში, როდესაც კრიზისი პიკში შევიდა, აშშ-მ გადაწყვიტა რომ ბოსფორის და დარდანელის სრუტეების არ უნდა ჩავარდეს სსრკ-ის ხელში რადგანაც ამას შეიძლება თურქეთში კომუნისტური რეჟიმის დამყარება გამოეწვიოს. საიდუმლო ტელეგრამაში, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ და შემდგომში აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, დინ აჩესონმა დიპლომატებისათვის პარიზში, დინ აჩესონი ხსნის ამერიკულ პოზიციას სრუტეების საკითხზე: „ჩვენი აზრით სსრკ-ის რეალური მიზანი თურქეთზე კონტროლის დამყარებაა. ჩვენ გვჯერა რომ თუ სსრკ და თურქეთი ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე საერთო კონტროლზე შეთანხმდებიან, მაშინ სსრკ ამ ძალას და სრუტეების კონტროლისათვის გაგზავნილ სამხედროებს გამოიყენებს თურქეთზე აბსოლუტური კონტროლის დასამყარებლად.... მაშასადამე მოვიდა დრო გადაწყვიტოთ რომ ნებისმიერი საშუალებით, ნებისმიერ ფასად შევეწინააღმდეგოთ ყველა სახის საბჭოთა აგრესიას თურქეთის წინააღმდეგ. ასეთი პოლიტიკის გატარება

დასყრი იქნება სსრკ-ისათვის, რომ ჩვენ ვერ დავუშვებთ თურქეთი გახდეს საბჭოთა აგრესიის ადრესატი.“ (Hasanli 2011:123)

1946 წლის 20 აგვისტოს, დინ აჩესონი შეხვდა თხუთმეტ ჟურნალისტს, რომლებსაც აუხსნა არსებული სიტუაცია და საკითხზე აშშ-ის პოზიცია საჯაროდ ცნობილი გახადა.

1946 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე, სსრკ-მ გაზარდა საზღვაო ძალების რაოდენობა შავ ზღვაში, სადაც საბჭოთა გემები უამრავ მანევრებს ასრულებდნენ თურქეთის სანაპიროებთან და უცნობი რაოდენობის ქვეითი სამხედროები იქნა გაგზავნილი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. სსრკ-ისაგან დიდი ზეწოლის ქვეშ მყოფმა თურქეთმა დახმარებისათვის აშშ-ს მიმართა. პრეზიდენტმა ტრუმენმა, საკუთარ ადმინისტრაციასთან შეთანხმებითა და რჩევით თურქეთში საზღვაო დავალებათა ძალა გაგზავნა. 1946 წლის 9 ოქტომბერს, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს მხარდაჭერა თურქეთისათვის. 1946 წლის 26 ოქტომბერს, საბჭოთა კავშირმა გააუქმა ახალი კონფერენციის მოწვევის მოთხოვნა და ცოტა ხნის შემდეგ რეგიონიდან სამხედრო ძალების უმრავლესობა გამოიყვანა. თურქეთმა მიატოვა ნეიტრალიტეტის პოლიტიკა და მიიღო 100 000 000 აშშ დოლარი ეკონომიკური და სამხედრო დახმარებისათვის ტრუმენის დოქტრინას მიხედვით, რომლის მიზანიც საბერძნეთში და თურქეთში კომუნიზმის გავლენების განადგურება იყო, ორი სახელმწიფო 1952 წელს NATO-ს შეუერთდა. (Turkey 1." *The Columbia Encyclopedia*, 2004)

2.3 შავი ზღვის სრუტეების საკითხი საერთაშორისო კონფერენციებზე II მსოფლიო ომის პერიოდში

შავი ზღვის სრუტეების საკითხი არაერთხელ დაისვა მეორე მსოფლიო ომის დროს სსრკ-ს, აშშ-სა და ინგლისის მთავრობათა მეთაურების შეხვედრებზე.

გამოქვეყნებული დოკუმენტების თანახმად, შავი ზღვის სრუტეების საკითხი თეირანში სსრკ-ს, აშშ-სა და ინგლისის ლიდერების შეხვედრაზე დაისვა.

ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა უ. ჩერჩილი, საკუთარი ინიციატივით, შეეხო სრუტეების საკითხს. მან განაცხადა, რომ სასურველია თურქეთი ომში ჩაებას მოკავშირე სახელმწიფოების მხარეს.

1944 წლის ოქტომბერში უ. ჩერჩილი ჩავიდა მოსკოვში, სადაც მოლაპარაკებები გამართა ი.ბ. სტალინთან. ოფიციალურად წამოაყენა მონტრეს კონვენციის საკითხი, სურდა რა ისე შეეცვალა იგი, რომ უზრუნველყო რუსული სამხედრო გემების თავისუფალი გავლა.

1945 წლის თებერვალში იალტაში (ყირიმი) გაიმართა სამი მოკავშირე სახელმწიფოს - სსრკ-ის, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელების კონფერენცია, რომელსაც ყირიმის კონფერენცია ეწოდა. კონფერენციაზე, სხვა პრობლემებთან ერთად, განიხილებოდა შავი ზღვის სრუტეებთან დაკავშირებით მონტრეში დადებული კონვენციის საკითხი.

თავი III. გეოპოლიტიკური ინტერესები და საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა II მსოფლიო ომის შემდეგ

3.1 ბერლინის (პოსტდამის) კონფერენცია და სრუტეების საკითხი

1945 წლის ივლის-აგვისტოში პოსტამდის კონფერენციაზე სამმა სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მონტრეს კონვენცია სრუტეების შესახებ დამკველბული იყო, რომელიც არ შეესაბამებოდა თანამედროვე გარემოს და თავიდან უნდა მოეხდინათ მისი გადასინჯვა. ამიტომ რუსეთმა თურქეთს გაუგზავნა ნოტა, რომელშიც ეწერა, რომ 1936 წლის მონტროს კონვენცია არ შეესაბამებოდა იმ მოთხოვნებს, რომელიც უზრუნველყოფდა ომიანობის დროს მტრულად არ

გამოყენებინათ სრუტეები, რომელიც მიმართული იქნებოდა შავ ზღვის სახელმწიფოების წინააღმდეგ.

ნოტაში ეწერა შემდეგი რამ:

1.სრუტეები სულ ღია უნდა ყოფილიყო ყველა ქვეყნის სავაჭრო გემების გასავლელად;

2.სრუტეები სულ ღია უნდა ყოფილიყო შავი ზღვის სახელმწიფოების სამხედრო გემების გასასვლელად.

3.სრუტეების სარგებლობა და გასვლა არა შავი ზღვის სახელმწიფოთა სამხედრო გემებისათვის შესაძლებელია, საგანგებოდ გათვალისწინებულ შემთხვევის გარდა;

4.შავი ზღვის სრუტეებში მიმავალი, ასევე შემავალი ერთადერთი საზღვაო გზის რეჟიმის დაწესება უნდა იქნას თურქეთსა და შავი ზღვის სხვა სახელმწიფოთა კომპეტენცია;

5. საბჭოთა კავშირი და თურქეთი, რომლებიც ყველაზე მეტად არიან დაინტერესებულნი ამ საკითხის მიმართებაში, ერთობლივი რესურსებით აწყობენ სრუტეების დაცვას სხვა სახელმწიფოების მიერ შავი ზღვის სახელმწიფოებისათვის მტრული მიზნებით სრუტეების თავიდან ასაცილებლად.

ამრიგად, საბჭოთა კავშირის წინადადებას საფუძველს წარმოადგენდა ის პრინციპები, რომლებიც აღნიშნავდნენ განსხვავებულობას სრუტეებით სარგებლობაში შავი ზღვისა და არა შავი ზღვის სახელმწიფოებს შორის. საბჭოთა რუსეთის მოთხოვნის თანახმად, სრუტეებით სარგებლობა არა შავი ზღვის სახელმწიფოთა სამხედრო გემებისთვის, საგანგებოდ გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, არ უნდა ყოფილიყო დაშვებული.

თურქეთის მთავრობამ 22 აგვისტოს გაუგზავნა საპასუხო ნოტა. თურქეთი საპასუხო ნოტაში ეწერა, რომ თანახმა იყო პირველი სამი პუნქტის მიღებაზე, მაგრამ წინააღმდეგ იყო ბოლო ორი პუნქტის დამტკიცებაზე. (კოკაია 2020:47)

3.2 ომის შემდგომი მსოფლიოს რეგულირების მექანიზმები და მონტრეს კონვენციის რევიზიის მცდელობა

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გარკვეულწილად იცვლება სურათი. საბოლოოდ, აშშ-ის დახმარებით, სადაც ამ პერიოდში შემუშავდა “ტრუმენის დოქტრინა” მთელ მსოფლიოში სსრკ-ის შეკავების შესახებ (გამოქვეყნდა 1947 წლის 12 მარტს), თურქეთსა და საბერძნეთს (საბერძნეთში ამ პერიოდში საბჭოთა გავლენის გავრცელების საფრთხე იდგა) სამხედრო დახმარება გადაეცა, რამაც დიდწილად განაპირობა საბჭოთა კავშირის უკან დახევა. მოგვიანებით, 1952 წლის 18 თებერვალს თურქეთი ნატოს წევრი გახდა. სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირმა თურქეთისადმი პრეტენზიებზე უარი თქვა.

თურქეთის ნატოში გაწევრების დროიდან იწყება ახალი და განსხვავებული ეტაპი შავი ზღვის სრუტეების ისტორიაში. ისტორიაში. საბჭოთა კავშირი უკმაყოფილებას გამოთქვამდა სრუტეებში ნატოს ქვეყნების გაზრდილი გავლენის გამო. თურქეთმა, საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის დალაგების სურვილით, 60-70-იან წლებში ნება დართო რუსულ ხომალდებს, სრუტეებში შედარებით მეტი თავისუფლებით ესარგებლათ. თავის მხრივ, ეს ნატოს წევრ სახელმწიფოთა უკმაყოფილებას იწვევდა, რაც სავსებით ბუნებრივია, თუ გავიხსენებთ, რომ 1976 წლის 18 ივლისს სრუტეებში გაიარა საბჭოთა ავიამზიდმა «კიევმა», რომლის წყალწყვა 37 ათას ტონას შეადგენდა.

80-იანი წლებიდან დიდი მნიშვნელობა შეიძინა სანაოსნო მიმოსვლის დარეგულირების საკითხმა. იმ დროისთვის სრუტეებში მომრავლდა ავარიები, ამიტომაც 1982 წლის 1-ელ მაისს თურქეთმა განაახლა სანაოსნო მიმოსვლის სისტემა. ხომალდებს აეკრძალათ სრუტეებში 10 საზღვაო მილზე (18,5 კმ/სთ) მეტი სიჩქარის განვითარება, ხოლო თუ გემის წყალწყვა 10,16 ათას ტონას აღემატებოდა, თურქეთი ერთი კვირით ადრე უნდა გაეფრთხილებინათ. (ყალიჩავა 2015:40)

ახალი სანაოსნო რეგლამენტის გარშემო თურქეთსა და რუსეთს შორის, 90-იანი წლების შუა ხანებში, აზრთა სხვადასხვაობა გაჩნდა. თურქეთის მიზანი იყო ნაოსნობის უსაფრთხოების ამაღლება და სრუტეების განტვირთვა, განსაკუთრებით,

ნავთობტანკერებისგან. იმ დროს მუშავდებოდა აზერბაიჯანისა და ყაზახეთის ნავთობის ევროპაში მილსადენებით გატანის პროექტები, რასაც მოგვიანებით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის აგება მოჰყვა. გარდა ამისა, 1994 წლისთვის სრუტეებში მძიმე ავარიული მდგომარეობა შეიქმნა, რაც ძირითადად იმით იყო განპირობებული, რომ ხომალდები ხელშეკრულების ერთ-ერთ პუნქტს ხშირად არღვევდნენ - სრუტეში შესვლისას ბორტზე თურქი ლოცმანი არ აჰყავდათ. 1952-1992 წლებში ბოსფორსა და დარდანელზე 444 ავარია მოხდა და უმეტეს შემთხვევაში, გემებზე თურქი ლოცმანები არ იმყოფებოდნენ. 1994 წლის 1-ელ ივლისს მიღებული სანაოსნო რეგლამენტში უსაფრთხოების ზომებს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო. მონტრეს კონვენციის მიღების შემდეგ, ხელის მომწერ მხარეთაგან რევიზია არ მომხდარა (მიუხედავად იმისა, რომ რევიზიის მცდელობა რამდენჯერმე იყო). მოხდა მხოლოდ მცირე, თუმცა მნიშვნელოვანი ჩასწორებანი საერთაშორისო სამართლის მიხედვით, გასული საუკუნის 80-90-იან წლებში, რამაც შავი ზღვის სრუტეებზე თურქეთის გავლენა კიდევ უფრო განამტკიცა. 1982 წლის 24 აპრილს მიიღეს გაერთიანებული ერების კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ (United Nations Convention on the Law of the Sea), რომლის 41-ე მუხლი თურქეთს ანიჭებს უფლებას, გარკვეულწილად საკუთარ კონტროლს დაუქვემდებაროს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები მშვიდობიანობის პერიოდშიც. ეს უფლება თურქეთმა გამოიყენა და სრუტეების მიმართ პოლიტიკა გაამკაცრა 1994 წლის 13 მარტს დარდანელის სრუტესთან მომხდარი ავარიის შემდეგ, როცა ორი კვიპროსული ხომალდი (მათ შორის ერთ-ერთი დატვირთული 98,6 ათასი ტონა ნავთობით) შეჯახებისას აფეთქდა და დაახლოებით 18 ათასმა ტონა ნავთობმა დარდანელის სრუტის ზედაპირის თითქმის 60% დაფარა. ინციდენტის საპასუხოდ, თურქეთმა 1994 წლის 1-ელ ივლისს დამატებით აამოქმედა თურქეთის სრუტეებსა და მარმარილოს ზღვაში მოძრაობის წესები.

თავი IV. შავის ზღვის სრუტეები და „ახალი გეოპოლიტიკა“

4.1 სრუტეების საკითხი გლობალური ცვლილებების პერიოდში (ორი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის დაპირისპირება)

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ წინა პლანზე წამოვიდა საკითხი, რომელიც ეხებოდა მსოფლიოს ახალი მოწყობის წეს, რის გამოც მსოფლიო ორ პოლუსად იქნა დაყოფილი. დასავლეთ ევროპის ქვეყნები, რომლებიც დაღლილნი იყვნენ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ქმედებით გამოსავალს ხედავდნენ კოლექტიურ თავდაცვაში, ამის გამო დაიწყეს ფიქრი გაერთიანებაზე და 1948 წლის 17 მარტს ლუქსემბურგმა, ჰოლანდიამ, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და ბელგიამ ბრიუსელში თავდაცვითი ალიანსი შექმნეს. აღნიშნული მოქმედება ამერიკელებისთვის ნიშანი იყო იმისა, რომ ევროპა უკვე მზად იყო ალიანსის შესაქმნელად და ახლა უკვე მათი ჯერი იყო. 1949 წლის 4 აპრილს ამერიკამ, კანადამ, იტალიამ, საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, ნორვეგიამ, ჰოლანდიამ, ლუქსემბურგმა, ბელგიამ, პორტუგალიამ, დანიამ, ისლანდიამ ხელი მოაწერეს ვაშინგტონის ხელშეკრულებას, რის შედეგადაც შეიქმნა ჩრდილოატლანტიკური ალიანსი. (კოკაია 2020:49)

თურქეთის საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი ასპექტი გახდა მისი კავშირი აშშ-სთან. საბჭოთა კავშირიდან წამოსული საერთო საფრთხის გამო თურქეთი ნატოში გაწევრიანდა 1952 წელს, რამაც ცივი ომის პერიოდში მისი ვაშინგტონთან მჭიდრო კავშირი განაპირობა. ცივი ომის შემდგომ წარმოქმნილ გარემოებებში თურქეთის გეოსტრატეგიული მნიშვნელობა მის ახლო აღმოსავლეთთან, კავკასიასთან და ბალკანეთთან სიახლოვეში ინაცვლებს. სირიის სიახლოვეს მდებარე ნატოს ავიაბაზა და თურქეთის მეზობლობა ერაყთან აშშ-ის სამხედრო ოპერაციებისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელი გახდა.

მსოფლიოს „ცივი ომის“ რეჟიმში ძალიან დიდხანს მოუწიათ ცხოვრება. „ცივი ომის“ პერიოდი ეს არის სახელმწიფოთა ან მათი დაჯგუფებათა მწვავე დაპირისპირება, სხვადასხვა იდეოლოგიების გამო. აღნიშნული პერიოდი ერთის

მხრივ წარმოადგენს, აშშ და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს, ხილო მეორე მხრივს, საბჭოთა კავშირს და მისი სატელიტებს. ცივი ომი აღმოცენდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში და დასრულდა 90-იან წლების დასაწყისამდე. აღნიშნულ პერიოდში ორ დიდ და სუპერ სახელმწიფო იყო ამერიკა და სსსრ კავშირი.

საბჭოთა კავშირისა და თურქეთის ურთიერთობებში სერიოზული გამოწვევა გახდა შავი ზღვის სრუტეების საკითხი. აღნიშნული პრობლემა არა ერთ კონფერენციაზე დაისვა და გადაწყდა მონტროს კონფერენციით. მაგრამ აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საკითხი გადაწყვეტა არ იყო მისაღები რუსეთისათვის. მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ შავი ზღვის სრუტეები თურქეთის ტერიტორიაზეა, რუსეთს მეტნაკლებად მოუხდა შეგუებოდა იმ ვითარებას, რომ დიდ ნაწილს ამ სრუტეებისა თურქეთი აკონტროლებს. შავი ზღვის სრუტეების შესახებ გადახედვა მოხდა შემდგომ, გასულ საუკუნის 50-იან წლებშიც. ბოლო პერიოდია რაც შავი ზღვის სრუტეებს, დარდანელს და ბოსფორს თურქეთი უწოდებს, როგორც თურქეთის სრუტეებს. მოითხოვს სხვა სახელმწიფოებისგან ამ სახელის დამკვიდრებას. ფაქტია, რომ მეტნაკლებად ამ სრუტეების სახელად თურქეთის სრუტეები მკვიდრება. თურქეთისა და სსრკ-ს ურთიერთობებში სერიოზული გამოწვევა იყო ის, რომ თურქეთი გახდა ნატოს წევრი ქვეყანა. თურქეთის ნატოში გაწევრიანების მიზეზი გამომდინარეობდა იქიდან, რომ ის საბჭოთა კავშირის მეზობელი იყო. ამ ფაქტორმა სერიოზულად გავლენა იქონია თურქეთის პოლიტიკურ და სამხედრო თვალსაზრისით განვითარებაზე და დაწინაურებაზე. თურქეთსა და სსრკ კავშირს შორის ურთიერთობა გაგრძელდა, მას შემდეგ რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და სსრკ სამართალ მემკვიდრე გახდა რუსეთის ფედერაცია. ბუნებრივია ამ ორ ქვეყანას შორის საგარეო პოლიტიკური გამოწვევები კვლავ იჩინა თავი, რადგანაც მათ საერთო ინტერესები კვლავ ძალაში დარჩა.

4.2 გეოპოლიტიკური ცვლილებები XX-XXI საუკუნის მიჯნაზე და სრუტეებზე რეჟიმთა რევიზია

შავი ზღვის რეგიონის თანამედროვე მდგომარეობას დიდწილად განსაზღვრავს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მომხდარი ცვლილებები. შედეგად, შავ ზღვაზე ინტერესთა კონფლიქტი კიდევ მეტად ჩაიხლართა და ურთიერთობები უფრო მრავალწახნაგოვანი გახდა. შავიზღვისპირა ქვეყნების (თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, უკრაინა, რუსეთი და საქართველო) გარდა, აქ ინტერესები აქვთ აშშ-სა და ევროკავშირს.

რეგიონში დიდი გავლენის მქონე ქვეყნად დღეს თურქეთი მიიჩნევა. მისთვის შესაძლოა ხმელთაშუა ზღვას უფრო დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდეს, თუმცა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე კონტროლი საშუალებას აძლევს, შავ ზღვაზე მნიშვნელოვანი გავლენა შეინარჩუნოს. პრაქტიკულად ყველა რეგიონული პროექტის მამოძრავებელი ძალა თურქეთია. სწორედ მისი ორგანიზებით მოეწერა ხელი 1992 წლის 25 ივნისის სტამბოლის დეკლარაციას, რომელმაც «შავი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობას» (BSEC - Black Sea Economic Cooperation) დაუდო საფუძველი. დეკლარაციას ხელს აწერდა 11 ქვეყანა - ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდავეთი, რუმინეთი, რუსეთი, თურქეთი და უკრაინა. BSEC-ის შტაბბინა 1994 წლიდან სტამბოლშია. 2004 წლის აპრილში ორგანიზაციაში მიიღეს სერბეთი. «შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის» გაცხადებული მიზანია ეკონომიკური სტაბილურობის, მშვიდობისა და ჰარმონიული თანამშრომლობის უზრუნველყოფა ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის. BSEC-ის ეგიდით მოქმედებს «შავი ზღვის კვლევის ცენტრი» და «შავი ზღვის ბანკი».

თურქეთი 1990-იან წლებიდან შავი ზღვის ნავთობტანკერებისგან განტვირთვას ცდილობს. ამას ხელს უწყობს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენიც, რომელიც შუა აზიიდან ევროპას აწვდის ნავთობს, საქართველოს გავლით.

ასევე თურქეთის ინიციატივით 2001 წელს დაარსდა «შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო თანამშრომლობის ორგანიზაცია» (BlackSeaFor - Black Sea Naval Force), რომლის წევრები არიან რუსეთი, უკრაინა, ბულგარეთი, რუმინეთი, საქართველო და თურქეთი. ეს ორგანიზაცია არ წარმოადგენს სამხედრო ბლოკს, თუმცა სამხედრო თანამშრომლობას ითვალისწინებს.

დღეისთვის თურქეთი პოლიტიკური ბალანსის შენარჩუნებას ცდილობს რუსეთსა და აშშ-ს შორის. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ნატოს წევრია და აშშ-თან მყარ ურთიერთობას ესწრაფვის, იგი ასევე ცდილობს კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებას რუსეთთან და შავიზღვისპირა ქვეყნებთან, რათა მსოფლიოს აჩვენოს, რომ რეგიონის სახელმწიფოებს თავადაც ძალუძთ შავი ზღვის აუზში სტაბილურობის მიღწევა.

მეორე გავლენიანი სახელმწიფო რეგიონში რუსეთია. ზემოაღნიშნული ისტორიული ექსკურსი მეტ-ნაკლებად ცხადს ხდის იმ ინტერესებს, რაც რუსეთს ბოლო საუკუნეებში რეგიონში ჰქონდა. დღეს შავი ზღვა რუსეთისთვის საკვანძო ადგილს წარმოადგენს. იგი სწორედ ამ სივრცის წყალობით ახერხებს აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნის კონტროლს. მეორე მხრივ, შავ ზღვაზე გავლენის დაკარგვით (თუმცა ამის შანსი დღეს მხოლოდ თეორიულია) შესაძლოა განმეორებულყო 1853-1856 წლების პრეცედენტი, როცა ყირიმის ომის დროს ინგლისი და საფრანგეთი ლამობდნენ აზოვის ზღვისა და მდინარე დონის გასწვრივ სამხედრო ოპერაციის განვითარებას რუსეთის სამხრეთით, ჩრდილოეთ კავკასიაში. ამდენად, შავ ზღვაზე გავლენის დაკარგვა რუსეთისთვის დიდწილად ჩრდილოეთკავკასიურ ინტერესებს უკავშირდება, თუმცა არანაკლებია რუსეთის ინტერესი საქართველოსადმი.

დიდია რუსეთის დაინტერესება გაზსადენების საკითხითაც. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ შეჩერდა ნაბუკოს გაზსადენის პროექტი, რომელსაც შუა აზიიდან მომავალი ბუნებრივი აირი საქართველოს გავლით უნდა მიეწოდებინა ევროპისთვის. საპასუხოდ რუსეთმა წინ «სამხრეთის ნაკადი» წამოსწია, რომლის

მშენებლობაც 2012 წლის ბოლოს დაიწყო და რუსული გაზის ევროპაში ექსპორტს ითვალისწინებს, ბულგარეთისა და სერბეთის გავლით. გაზსადენის ამოქმედება 2015 წლის მიწურულს იგეგმება. იმავე 2012 წელს გაჩნდა ნაბუკოს განსხვავებული ვარიანტი - აზერბაიჯანისა და ირანის თხევადი აირი საქართველოსა და თურქეთის გავლით მიწოდებოდა ევროპას. თუმცა საბოლოოდ აზერბაიჯანის შაჰ-დენიზის საბადოს აირის ევროპისთვის მიწოდება სამხრეთკავკასიური მილსადენით ამჯობინეს. 2013 წლის დეკემბერში მოეწერა ხელი, მათ შორის, საქართველოს მიერ, შაჰ-დენიზის პროექტის მეორე ფაზის ხელშეკრულებას. აზერბაიჯანული აირი ევროპაში ტრანსნატოლიური და ტრანსადრიატიკული მილსადენების გავლით მოხვდება.

შავი ზღვის რეგიონში თურქეთისა და რუსეთის გავლენაზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ ორ ქვეყანას ჰყავს შავ ზღვაზე ყველაზე ძლიერი სამხედრო ფლოტი.

კიდევ ერთი ქვეყანა, რომელსაც შავი ზღვის რეგიონზე გავლენა აქვს, ამერიკის შეერთებული შტატებია, რომლისთვისაც ეს რეგიონი რუსეთის მზარდი ამბიციების შეჩერების საშუალებას წარმოადგენს, თუმცა ამაში აშშ-ს მონტრეს კონვენცია უშლის ხელს. სწორედ ამიტომ, აშშ პერიოდულად სვამს კონვენციის გადახედვის საკითხს, ხოლო რუსეთი კატეგორიული წინააღმდეგია. შესაძლოა, მომავალში მონტრეს კონვენცია მაინც გადაიხედოს აშშ-ის ინიციატივით, თუმცა ამას დღეს ვერავინ განჭვრეტს.

აშშ-ის ინტერესებს ამყარებს და მეტი ლავირების საშუალებას აძლევს ნატოს ახალი წევრების - რუმინეთისა და ბულგარეთის პოზიცია, რომლებიც რეგიონში აშშ-ის დამკვიდრებას უჭერენ მხარს. თუ გავითვალისწინებთ, რომ თავად თურქეთიც, რომელიც უშუალოდ აკონტროლებს ბოსფორსა და დარდანელს, ნატოს წევრია, ადვილად დავინახავთ, რა გავლენა აქვს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შავი ზღვის აუზში.

რეგიონში ანგარიშგასაწევი მოთამაშეა ევროკავშირიც, რომელსაც საკუთარი მიზნები და ინტერესები ამოძრავებს - აღმოსავლეთისკენ გაფართოების, შავი ზღვის ენერგეტიკული უსაფრთხოების, არალეგალური მიგრაციის საკითხები, ასევე ეკოლოგიური პროგრამა, რომელსაც ევროკავშირი შავი ზღვის აუზში ახორციელებს.

დაინტერესებულ ქვეყნებზე საუბრისას აღსანიშნავია გერმანია, რომლისთვისაც გეოგრაფიული ფაქტორის გამოა რეგიონი საყურადღებო - შავ ზღვას უერთდება ევროპის ყველაზე გრძელი მდინარე დუნაი (სიგრძე 2860 კმ), რომელიც სათავეს გერმანიის ტერიტორიაზე იღებს. დუნაის უმეტესი ნაწილი საბჭოთა კონტროლს ექვემდებარებოდა, თუმცა ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ სანაოსნოდ გაიხსნა და ამჟამად ის ერთ-ერთი მთავარი სატრანსპორტო არტერიაა.

შავი ზღვისპირა ექვსი ქვეყნის რიცხვში შედის საქართველოც. სწორედ ზღვასთან არის დაკავშირებული ბერძნული კოლონიზაცია და ისტორიული კოლხეთის სახელწოდებაც. თანამედროვე საქართველოს BSEC-ის წევრია და აქვს საკუთარი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები. აღსანიშნავია, რომ BSEC-ის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის, შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის (BSTDB - Black Sea Trade and Development Bank)) სადამფუძნებლო შეთანხმებას თბილისში ხელი მოეწერა 1994 წელს. ამ ბანკმა წევრ ქვეყნებში ბევრი პროექტი დააფინანსა, მათ შორის საქართველოში. მაგალითად, ნავთობტერმინალის აგება ფოთის პორტში, რომელიც 2002 წელს ამოქმედდა. აქ გადის კასპის ზღვიდან შავი ზღვისკენ გადაზიდული ნავთობი. პროექტისთვის BSTDB-მა \$8-მილიონიანი სესხი გამოყო.

საქართველოს სტრატეგიული ინტერესებია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, დემოკრატიული მონაპოვრის განმტკიცება და მათი შეუქცევადობა, ევროატლანტიკურ და ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია, ეკონომიკური და ენერგეტიკული უსაფრთხოება. BSEC-ში მონაწილეობა ხელს უწყობს ამ მიზნების მიღწევას ეკონომიკური თანამშრომლობის მეშვეობით.

ამგვარად, შავ ზღვას არა მხოლოდ რეგიონული, არამედ საერთაშორისო გეოპოლიტიკური დატვირთვაც აქვს. ამან კი შესაძლოა გამოიწვიოს მსოფლიოს

უდიდესი ქვეყნების ინტერესთა შეჯახება და ძალთა გადაჯგუფება, ჩამოყალიბებული სტატუს კვოს დარღვევა და ახალი კონფიგურაციის შექმნა.

დასკვნა

შავი ზღვის სრუტეები ერთ–ერთი ყველაზე რთული გეოპოლიტიკური პრობლემაა საერთაშორისო ურთიერთობებში. სრუტეებში ნაოსნობის რეჟიმზე კონტროლისთვის ბრძოლა მუდმივად წარმოებდა დიდ სახელმწიფოებს შორის სხვადასხვა საშუალებებით.

დღევანდელ ეტაპზე სრუტეების პრობლემამ არათუ დაკარგა სიმწვავე და აქტუალობა, არამედ შეიძინა ახალი ჟღერადობა. გლობალურმა ცვლილებებმა მე-20 საუკუნის ბოლოს, პირველ რიგში, სსრკ-ს დაშლამ და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოქმნამ, გამოკვეთა ეკონომიკური, სამხედრო-სტრატეგიული, ეკოლოგიური ხასიათის გეოპოლიტიკის ახალი ამოცანები და პრობლემები, რომლებიც უშუალოდ ეხება შავი ზღვის რეგიონს და სრუტეების პრობლემას.

შავი ზღვის სრუტეებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და ახლაც აქვს რუსეთის ინტერესების თვალსაზრისით. ისინი წარმოადგენენ ერთადერთი გამოსასვლელს შავი ზღვიდან თბილი, გაუყინავი ზღვებისკენ, რაც ძალზე მნიშვნელოვანია რუსეთსა და უცხო ქვეყნებს შორის საზღვაო, სავაჭრო, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის განვითარებისათვის.

ამჟამად რუსეთის საგარეო სავაჭრო ბრუნვის დაახლოებით ნახევარი გადის შავი ზღვის სრუტეებზე. მათი როლი და მნიშვნელობა მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის განვითარებასთან ერთად გაიზრდება.

მეორეს მხრივ, შავი ზღვის სრუტეები ხსნიან შავ ზღვას და ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვთ რეგიონის ქვეყნების თავდაცვისა და უსაფრთხოების საქმეში.

შავი ზღვა და სრუტეები ბუნებრივი უსაფრთხოების ხაზს წარმოადგენს კავკასიის რეგიონისთვის. XVIII-XIX საუკუნეებში აქ ვითარდებოდა რუსეთ-თურქეთის ომები. რუსეთის და შემდეგ საბჭოთა საზღვრების დაუცველობა შავი ზღვის მხრიდან აშკარად გამოიკვეთა XX საუკუნეში ორი მსოფლიო ომისა და სამოქალაქო ომის დროს. ამჟამად არ შეიძლება გამოირიცხოს რეგიონში დამაბულობის ესკალაცია. დამაბულობისა და არასტაბილურობის კერები შენარჩუნებულია თვით შავი ზღვის რეგიონში და მის მიმდებარე რაიონებში.

შავ ზღვაზე ძლიერი პოზიციების გარეშე, რეგიონის ქვეყნებს არ შეუძლიათ უზრუნველყონ თავიანთი ინტერესები ხმელთაშუა ზღვის რეგიონში. მათი მონაწილეობა რეგიონული პრობლემების მოგვარებაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური პირობაა მათი მნიშვნელოვანი როლის უზრუნველსაყოფად საერთაშორისო არენაზე. ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ბალკანეთში კიდევ ერთხელ ნათლად დაადასტურა სრუტეების სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა. მხოლოდ შავი ზღვის სრუტეების გავლით მოახერხა რუსეთმა ბალკანეთში მომძლავრების უზრუნველყოფა, რადგან ბულგარეთმა და რუმინეთმა, ნატოს ქვეყნების ზეწოლის ქვეშ, უარი განაცხადეს რუსეთისთვის სახმელეთო და საჰაერო დერეფნების მიწოდებაზე.

სრუტეებს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ ასევე რეგიონის ქვეყნების ფლოტისთვის, რადგან ხსნიან გზას სხვა ზღვებისკენ და ოკეანეებისკენ.

სრუტეების ეს ორი ასპექტი - ეკონომიკური და სამხედრო სტრატეგიული - უცვლელად იყო წარმოდგენილი წამყვან სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაში, რაც აისახა მე-18 საუკუნის ბოლოდან მთავრობებს შორის დადებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებში. რუსეთისთვის და თურქეთისთვის ყველაზე სასარგებლო აღმოჩნდა 1833 წლის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა რუსული სავაჭრო და სამხედრო გემების სრუტეებში თავისუფალ გავლას და მტრის სამხედრო გემებისთვის შავი ზღვისკენ მიმავალ გზას კეტავდა. თუმცა, ამ შეთანხმებამ დიდხანს არ გასტანა. 1840 წელს რუსეთი და ინგლისი, მათ შორის წინააღმდეგობების არსებობის მიუხედავად, თურქეთის სულთანს ეხმარებოდნენ ეგვიპტის ფაშა მუჰამედ ალის წინააღმდეგ, რომელსაც საფრანგეთი მხარს უჭერდა. ამ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას მოჰყვა პირველი საერთაშორისო კონვენცია შავი ზღვის სრუტეების რეჟიმის შესახებ (ლონდონის კონვენცია 1841 წ.).

ერთი მხრივ, ინგლისსა და საფრანგეთს შორის წინააღმდეგობების გამწვავებამ და მეორეს მხრივ - რუსეთთან, ოსმალეთის იმპერიის შესუსტებამ და ლონდონისა და პარიზის გავლენის გაძლიერებამ პორტზე, გამოიწვია ყირიმის ომი. ბრიტანეთისა და საფრანგეთის სამხედრო გემებმა სრუტეებში გაიარეს და ყირიმს შეუტეს.

თურქეთის მხარეზე გამოსვლისას, ინგლისი და საფრანგეთი, განსაკუთრებით ლონდონი, საკუთარ მიზანს ხედავდნენ იმაში, რომ განეიარაღებინათ რუსეთი შავ ზღვაში და როგორც მეტოქისა და კონკურენტის თავიდან მოცილება.

პარიზის სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად, რუსეთს უნდა გაენადგურებინა შავი ზღვის ფლოტი და სანაპირო გამაგრებები შავ ზღვაზე. და მხოლოდ 1870 წელს, კანცლერ ა.მ.გორჩაკოვის დროს, ის გათავისუფლდა ამ დამამცირებელი შეზღუდვებისგან.

მას შემდეგ რუსეთის მმართველ წრეებში მწიფდება შავი ზღვის სრუტეების ზონაში რუსეთის დროშის დამკვიდრების იდეა, როგორც ქვეყნის უსაფრთხოების გარანტია სამხრეთში.

პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობის დროს, ბრიტანეთის მთავრობა დაპირდა შავი ზღვის სრუტეების გადაცემას რუსეთისთვის გერმანიასა და თურქეთზე გამარჯვების შემდეგ, თავად კი ამავე დროს დარდანელის ხელში ჩაგდებას ცდილობდა. ბრიტანელების აქცია დარდანელის ხელში ჩასაგდებად, რომლის ინიციატორი იყო იმ დროს სამხედრო-საზღვაო მინისტრი ჩერჩილი, ჩაიშალა.

1920 წლის სევრის ხელშეკრულებამ თურქეთი დაყო დასავლეთის ძალების გავლენის სფეროებად, მათ დაუპირისპირდნენ ნაციონალისტური თურქული წრეები მუსტაფა ქემალის (ათათურქის) მეთაურობით. რუსეთსა და თურქეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების წინადადებით, ათათურქმა წამოაყენა შავი ზღვის სრუტეების რეჟიმის განსაზღვრის სრულიად ახალი პრინციპი. ათათურქი წერდა, რომ სრუტეების რეჟიმი შეიძლება განისაზღვროს შავი ზღვის სახელმწიფოების მიერ. ამ პრინციპს მხარს უჭერდა საბჭოთა კავშირის მთავრობა და დაფიქსირებულია 1921 წლის საბჭოთა-თურქეთის ხელშეკრულებაში. ამასთან, იმ დროს შავი ზღვის ქვეყნებს არც ერთიანობა ჰქონდათ და არც ძალა, რომ ეს პრინციპი პრაქტიკაში გამოეყენებინათ.

სრუტეების ახალი რეჟიმი შემუშავდა ლოზანის (1923) და მონტრეს (1936) საერთაშორისო კონფერენციებზე.

კონვენცია შავი ზღვის სრუტეების რეჟიმის შესახებ, რომელიც მიღებულია მონტრეში და დღემდე არეგულირებს გემების გასვლის პროცედურას, არ შეიცავს შეზღუდვებს შავი ზღვის ქვეყნების დიდი სამხედრო ხომალდების ტონაჟობაზე სრუტეებში გადასასვლელად, მაგრამ მნიშვნელოვნად ზღუდავს არა შავი ზღვის ქვეყნების ტონაჟს და სამხედრო ხომალდების რაოდენობას, რაც შეესაბამება შავი ზღვის უსაფრთხოების ინტერესებს.

შავი ზღვის ქვეყნებს აქვთ მრავალი სხვა უპირატესობა მონტრეს კონვენციის შესაბამისად.

მეორე მსოფლიო ომის დროს მონტრეს კონვენცია ძალაში რჩებოდა, თუმცა ანკარამ დაუშვა ცალკეული დარღვევები, რასაც სსრკ-მ და დიდმა ბრიტანეთმა მიაპყრო თურქეთის მთავრობის ყურადღება.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, თურქეთის მთავრობასთან მოლაპარაკებების დროს, საბჭოთა კავშირის მთავრობა ცდილობდა გაემლიერებინა სსრკ უსაფრთხოების დაცვა შავ ზღვაზე და შეეცვალა მონტრეს კონვენცია. მოსკოვმა შესთავაზა სრუტეების დახურვა არა შავი ზღვის ქვეყნების სამხედრო გემებისათვის და სრუტეებში საბჭოთა სამხედრო ბაზის შექმნა უსაფრთხოების გარანტიების სახით. სრუტეების რეჟიმს სსრკ და თურქეთი უნდა განსაზღვრავდნენ. ანკარამ, ბრიტანეთის მხარდაჭერით, უარყო ეს საბჭოთა წინადადებები.

სსრკ-ს, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის გამარჯვებულთა ბერლინის (პოტსდამის) კონფერენციაზე, საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა წინადადებები შავი ზღვის სრუტეების შესახებ, რომლებიც მანამდე განიხილა თურქეთის მთავრობასთან. ეს წინადადებები უარყო ვ. ჩერჩილმა. აშშ-ს პრეზიდენტმა გ. ტრუმენმა შესთავაზა შავი ზღვის სრუტეებში თავისუფალი გავლა ყველა ქვეყნის სამხედრო გემებისთვის. ჩერჩილმა მხარი დაუჭირა ტრუმენის წინადადებას. პოზიციების განსხვავებულობის გათვალისწინებით, სტალინმა შესთავაზა თითოეულ მხარეს ცალ-ცალკე მოლაპარაკებები თურქეთთან. ეს წინადადება მიიღეს.

მოსკოვმა კვლავ შესთავაზა საკუთარი წინადადებები ანკარას და წარუდგინა ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთის წინააღმდეგ ზეწოლის გაზრდის მიზნით.

თურქეთზე ზეწოლის პოლიტიკამ საბჭოთა კავშირს დადებითი შედეგები არ მოუტანა. ეს იყო სტალინის შეცდომა, რამაც დიდი ხნის განმავლობაში გააფუჭა საბჭოთა-თურქეთის ურთიერთობები. საბჭოთა სახელმწიფოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა - სამხრეთის მიმართულებით მისი სამხედრო და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა გადაუჭრელი დარჩა.

მხოლოდ 1953 წელს უარყო საბჭოთა მთავრობამ სრუტეების შესახებ საკუთარი წინადადებები, განაცხადა, რომ მას არანაირი პრეტენზია არ აქვს თურქეთის წინააღმდეგ და ფაქტიურად აღიარა, რომ მონტრეს კონვენცია აკმაყოფილებს უსაფრთხოების პირობებს.

გლობალურმა ცვლილებებმა, რომლებიც მოხდა XX საუკუნის ბოლო ათწლეულში სსრკ-ს დაშლის შედეგად, ახალი გვერდი შექმნა შავი ზღვის სრუტეების ისტორიაში. წარსულს ჩაბარდა მთელი ისტორიული ხანა, როდესაც რუსეთი და შემდეგ საბჭოთა კავშირი, რომელიც რეგიონში ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა, პრაქტიკულად აკონტროლებდნენ მთელ ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთს.

ფაქტობრივად, მოხდა შავი ზღვის გეოპოლიტიკური სივრცის ხელახალი ჩამოყალიბება. მსოფლიო რუკაზე გაჩნდა შავი ზღვის ახალი დამოუკიდებელი ქვეყნები: უკრაინა, საქართველო, მოლდოვა, რომელიც ზღვას დუნაის მეშვეობით უკავშირდებოდა.

რუსეთის ეკონომიკურ ვარდნას, მისი შიდაპოლიტიკური სიტუაციის არასტაბილურობას, მსოფლიო ასპარეზზე პოზიციების შესუსტებას, აგრეთვე დიდი სანაპირო ქალაქებისა და პორტების უმეტესობის დაკარგვას, რომლებიც ახლა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ტერიტორიაზე მდებარეობენ, შავი ზღვის ფლოტის დაყოფასა და ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალების შესუსტებას შეუძლებელი იყო გავლენა არ ჰქონოდა სიტუაციაზე შავი ზღვის რეგიონში.

რუსეთის დასუსტებასთან ერთად, გაიზარდა თურქეთის როლი და გავლენა.

თურქეთის ეკონომიკური პოტენციალის მატებამ, მისი პრესტიჟისა და საერთაშორისო გავლენის ზრდამ, ნატოს ქვეყნების აქტიური მხარდაჭერით, გამოიწვია მისი როლის გაძლიერება შავი ზღვის რეგიონში.

თურქეთი, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში რეგიონის გავლენიან სახელმწიფოდ იქცა, მისდევდა რა ეკონომიკურ და პოლიტიკურ მიზნებს, ამავე დროს განსაკუთრებულ როლს ასრულებს ნატოს ფარგლებში. თურქეთს მხედველობიდან არ რჩება მნიშვნელოვანი სტრატეგიული ამოცანები რეგიონში, მისი პოლიტიკა ბევრ რამეში ემთხვევა აშშ-ის პოლიტიკურ მიზნებს და ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს გლობალურ ბრძოლაში რეგიონში გავლენის მისაღწევად.

თურქეთმა, ისარგებლა რა ამ სიტუაციით, წამოიწყო რუსეთის პოზიციის შესუსტებისკენ მიმართული ქმედებები, ამისათვის გამოიყენა თურქეთის „ოქროს გასაღები“ - მისი სუვერენიტეტი შავი ზღვის სრუტეებზე, რომლებიც, როგორც ცნობილია, შავი ზღვის ქვეყნებისათვის წარმოადგენს ერთადერთ გასასვლელს თბილ ზღვებში.

ამ მიზნით, 1993 წელს თურქეთის მთავრობამ ცალმხრივად მიიღო ახალი რეგლამენტი სრუტეებში სავაჭრო გემების გავლის წესის შესახებ, რომელიც პირდაპირ შეეხო რუსეთის ინტერესებს. ამან მოსკოვის პროტესტი გამოიწვია. დაიწყო რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკებები. ამ მოლაპარაკებების დროს შეიმუშავეს ახალი რეგლამენტი შავი ზღვის სრუტეებში საზღვაო ნაოსნობის წესის შესახებ, რომელიც უფრო მეტად აკმაყოფილებდა საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) საზღვაო ნაოსნობის თანამედროვე წესებსა და რუსეთის ინტერესებს, ვიდრე 1993 წლის რეგლამენტი. ახალი რეგლამენტი ძალაში შევიდა 1998 წლის ნოემბერში. თუმცა, ვერც ის ახერხებს სრუტეების გავლით რუსეთის ნაოსნობის სირთულეების აღმოფხვრას და მოსკოვსა და ანკარას შორის მოლაპარაკებები ამ საკითხებზე გრძელდება.

მონტრეს კონვენციამ გაუძლო მეორე მსოფლიო ომს, ომისშემდგომ საერთაშორისო კრიზისებსა და „ცივ ომს“. იგი ინარჩუნებს თავის ძალასა და მნიშვნელობას სახელმწიფოთა სტრატეგიული ინტერესების გულდასმით შემუშავებული კომპრომისის, მსოფლიო არენაზე ეკონომიკური და სამხედრო, განსაკუთრებით კი

ბირთვული პოტენციალის თანაფარდობის, შავი ზღვის ქვეყნების უსაფრთხოების ინტერესების გათვალისწინებისა და თურქეთის მთავრობის რეალისტური პოლიტიკის წყალობით. მონტრეს კონვენცია ავტორიტეტით სარგებლობს მთელ მსოფლიოში და მისი დაცვა ყველა სახელმწიფოს ვალდებულებაა.

ბოლო წლების ანკარის პრაქტიკა, რომ თვითნებურად დაადგინონ სრუტეებში სავაჭრო გემების გავლის წესები დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციისა და შეთანხმების გარეშე, უკვე უქმნის სირთულეებს ნაოსნობას. ამას აქვს როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური მიზეზები. სუბიექტური მიზეზები მდგომარეობს ანკარის პოლიტიკაში, რომელიც ასახავს ეროვნული ინტერესების გავლენას, უცხო სახელმწიფოებისა და ზოგადად საერთაშორისო ვითარების ზემოქმედებას. ობიექტურ მიზეზებს შეიძლება მივაკუთვნოთ წარმოებისა და მსოფლიო ვაჭრობის გლობალური მატება, რაც ზრდის საზღვაო გადაზიდვებს. შავი ზღვის სრუტეებზე გამავალი სავაჭრო გემების რაოდენობა წლიდან წლამდე მატულობს. მოსალოდნელია, რომ ამგვარი ხომალდების რაოდენობა მომავალშიც გაიზრდება.

მსოფლიო მეურნეობისა და ვაჭრობის განვითარებასთან ერთად გაიზრდება სხვა ქვეყნების სავაჭრო გემების ნაკადიც. ეს პრობლემა სულ უფრო მწვავედება, სრუტეების შედარებით მცირე სიგანის გათვალისწინებით - ზოგან იგი 700 მ-ს არ აღემატება. სატრანსპორტო დატვირთვა სრუტეებზე სერიოზულ საერთაშორისო პრობლემად იქცევა, რომელიც მრავალი ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებსა და შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკურ უსაფრთხოებას ეხება.

ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის მოსაგვარებლად მიზანშეწონილი იქნებოდა დაინტერესებული ქვეყნებისა და შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვა: საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO), შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციისა (BSEC) და საპარლამენტო ორგანიზაციების. როგორც ჩანს, მიზანშეწონილი იქნებოდა შავი ზღვის ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროებთან მომხდარიყო სპეციალური ჯგუფის ორგანიზება შესაბამისი

სამინისტროებისა და დეპარტამენტების წარმომადგენლებისაგან, რომელიც კოორდინაციასა და ხელმძღვანელობას გაუწევდა მათ საქმიანობას შავი ზღვის სრუტეების გავლით სავაჭრო ნაოსნობის პრობლემასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხების გადასაჭრელად.

აღსანიშნავია, რომ მონტრეს კონვენციის დაცვა, მეგობრული ურთიერთობები და თანამშრომლობა შავი ზღვის სხვა ქვეყნებს შორის, უთუოდ შეუწყობს ხელს სრუტეებში ნაოსნობის პრობლემის მოგვარებას, ეკონომიკური და სამხედრო უსაფრთხოების განმტკიცებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს შავი ზღვის რეგიონში მშვიდობის გამყარებას და საერთაშორისო უსაფრთხოებას მთლიანობაში.